№ 104 1877—1905 № 104

კვირა, 19 ივნისი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ივნისის 19-ს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი

მიიღება შემოწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

კავკასიაში ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოების მეორე საზოგადო წევრთა კრება დანიშნულია 19 ივნისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები:

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მატერიალურ მდგომარეობის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია კავკასიაში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობასთან.

კრება დაიწყება შუადღის 11 საათზე, დამსწრეთ უნდა წარადგინონ საწევრო ბილეთები.

შენიშვნა: ვისაც თვიური საწევრო ფული არ შეუტანია, შეუძლიათ შეიტანონ კრების დღეს.

(3—უ—3).

თვალის ავადმყოფობანი

ხარკოვის უნივერსიტეტის ორდინატორი, თვალის ავადმყოფობათა ექიმი

ე. ვ. გორბოვსკი-ზარანეკი

ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე, დილით 10—12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (3—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანახოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

ს. ა. არღაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 [illegible]-ებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. გძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

პროექტი

აგერ ორ კვირაზე მეტია, რაც სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებმა გამოაქვეყნეს კოლექტიურად შედგენილი პროექტი სკოლის რეორგანიზაციისა. როცა ეს პროექტი მოგვიტანეს ჩვენ გაზეთში დასაბეჭდად, ვფიქრობდით, ავტორთა სურვილი იყო, გაეცნოთ საზოგადოებისთვის თავიანთი მოსაზრება, გამოეწვიათ კრიტიკა, ესარგებლნათ ყველა საფუძვლიან შენიშვნით და ამგვარად პროექტში ახალი საბუთები შეეტანათ, უკვე დაწერილი შეევსოთ და გაეუმჯობესებინათ. იგივე მასწავლებლები მართავდნენ სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში კერძო კრებებს და ამ კრებებზე დასასწრებლად იპატიჟებდნენ გარეშე პირებს. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ გვგონია, რომ მათი სურვილი იყო—მცოდნე კაცთა დახმარება და საგნის საფუძვლიანად გამორკვევა.

სამწუხაროდ, ჩვენ შევსცდით ჩვენს მოსაზრებაში და მოლოდინი. გაგვიმტყუნდა ჩვენმა პედაგოგებმა თურმე პროექტი დასწერეს და დაბეჭდეს არა იმიტომ, რომ სხვისი აზრით ესარგებლნათ და თავიანთი შემუშავებული გეგმა სკოლის რეორგანიზაციისა გაეუმჯობესებინათ, არამედ იმ განზრახვით, რომ თავისი აზრი სხვებისთვის უცვლელად მიეღებინებინათ. როგორც პრესსაში, ისე კრებებზე გამართულ კამათში ჩვენ მოველოდით დამჯდარ, დარბაისლურ მსჯელობას, რომელიც შეეფერება პრინციპიალურ საკითხების ხასიათს,—და არა კინკლაობას და ვიწრო თავმოყვარეობაზე აგებულ კამათს. ნამდვილად კი ეს უკანასკნელი ნიშანი გამოაჩნდა აღძრულ საკითხით გამოწვეულ ბჭობასა და კამათს კრებებზე და პრესსაშიაც.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა ერთხელ დავსწრებოდით სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში გამართულ კრებას და, უნდა გამოვტყდეთ, სწორედ გულის მომწყვეტი შთაბეჭდილება გამოვიტანეთ იქიდან. თვითონ ის კაცები, რომელთაც პროექტი შეადგინეს და გარეშე საზოგადოება მიიწვიეს იმავე პროექტის გამო მოსალაპარაკებლად, სწორედ იმ გარეშეებს პირში სიტყვას სტაცებდნენ და ყოველ ორ-სამ სიტყვიან შენიშვნაზე აღელვებულის კილოთი ნახევარ საათობით ლაპარაკობდნენ. არ იყო არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ მათ რაიმე შენიშვნა ამა თუ იმ გარეშე პირისა საფუძვლიანად ეცნოთ და თავის პროექტში შეტანის ღირსად ეღიარებინათ. იმათ, ეტყობა, გადაწყვეტილი ჰქონიათ, რომ ყველაფერი, რაც პროექტში გამოსთქვეს, სრული და უცილობელი ჭეშმარიტებაა...

ჩვენსავე გაზეთში ბ-ნმა ი. ღულაძემ დაბეჭდა დასაბუთებული წერილები სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ და ობიექტიურად გაარჩია სკოლის პედაგოგიურ საბჭოს პროექტი. გვეგონა, ზოგიერთ შენიშვნებს მაინც მიიღებდნენ პროექტის შემდგენელნი ან, ყოველ შემთხვევაში, დარბაისლურ და პრინციპიალურ საფუძვლებზე აგებულ პასუხს გასცემდნენ ბ-ნ ღულაძეს. ნაცვლად ამისა, წარმოიდგინეთ, „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა წერილი სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის ბ-ნ ჩიტაძისა, რომელშიაც ეს უკანასკნელი უშვერად ლანძღავს კრიტიკისათვის ბ-ნ ღულაძეს და მის შენიშვნებს ისეთის კერძო ანგარიშებით ხსნის, რომელიც ულირსია ყოველ პატიოსან ადამიანისა. სახელდობრ, ბ-ნი ჩიტაძე საკმაოდ გასაგებ სიტყვებით იმ ბრალდებას სდებს ბ-ნ ღულაძეს, ვითომ ეს უკანასკნელი სათავად-აზნაურო სკოლაში ადგილის საშოვნელად სწერდეს და იმიტომ ლაპარაკობდეს ბ-ნ ჩიტაძისა და მის ამხანაგთა პროექტის წინააღმდეგ... რასაკვირველია, როცა ამგვარ ნიადაგზე გადაიტანება საკითხი, მაშინ ყოველი ბჭობა და კამათი საგნის გამორკვევის მხრივ სრულიად ფუჭი და ამაო ხდება...

როცა ასეთი მაგალითები გვაქვს თვალწინ, ჩვენ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ დღესაც, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლო მოსწავლეების დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე, რომელზედაც სკოლის მასწავლებელთა პროექტი უნდა განიხილონ, ცხარე და აღელვებული კამათი გაიმართება...

პროექტში აღძრული საკითხი იმდენად რთული და ძნელი გასარკვევია, რომ ჩვენ არა გვგონია, საზოგადო კრებამ ერთსა და ორ დღეს შესძლოს მისი გადაწყვეტა. ეს მით უფრო საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი პროექტი ბევრის მხრით არ არის დამთავრებული და მას არსებითად ესაჭიროება შევსება და გაუმჯობესება.

პროექტი ორ მთავარ ცვლილებას ანუ ორგვარ თავისუფლებას თხოულობს სკოლისათვის: განთავისუფლებას გიმნაზიისაგან და განთავისუფლებას გამგე კომიტეტის ზედამხედველობისაგან. ეს არის ორი მთავარი მუხლი და სხვა დანარჩენები წვრილმანია მათთან შედარებით.

რასაკვირველია, თავისუფლება კარგი საქმეა და სხვებთან ერთად ჩვენც მომხრე ვართ იმისი, რომ თავისუფალი სკოლა გვქონდეს და ადამიანის პიროვნება და კერძო თაოსნობა არც სკოლასა და არც სკოლის გარეშე დახშული არ იქნეს. მაგრამ ეს ზოგადის ხასიათის პრინციპია და, როცა ერთ რომელსამე კონკრეტულ დაწესებულებაზეა ლაპარაკი,—საჭიროა გარკვეული იყოს, თუ როგორ და რა მიზნისთვის გვინდა „თავისუფლების“ მოპოება, გინდ სხვაგვარ ცვლილების შემოღება.

პროექტის შემდგენელნი ამბობენ, რომ ამჟამად სათავად-აზნაურო სკოლა სახელმწიფო სასწავლებლებისაგან არის დამოკიდებული,—ჩვენმა მოსწავლეებმა გიმნაზიის მოწმობა უნდა მიიღონ, გიმნაზიაში უნდა განიცადონ ეგზამენი, ჩვენც მათ ამ ეგზამენისთვის ვამზადებთ და ამიტომ, რახან დამოუკიდებელნი არა ვართ, ნაყოფიერობაც არ გვეტყობაო.

დღეს ყველამ იცის,—პედაგოგმა და არა-პედაგოგმაც,—რომ ახლანდელი გიმნაზიაც, რომელიც თავისსავე კედლებს შუა აძლევს მოწმობას თავის მოწაფეებს და სათავად-აზნაურო სკოლასავით სხვაგან არა გზავნის და, მაშასადამე, „დამოკიდებული“ არაა, მეტად მდარე და უნაყოფოა. ცხადია ამიტომ, რომ სათავად-აზნაურო სკოლის უნაყოფობის მთავარ მიზეზს არ შეადგენს მისი გიმნაზიისაგან დამოკიდებულება, ვინაიდან, „დამოკიდებული“ გიმნაზიაც სწავლა-აღზრდის მხრით, როგორცა ვთქვით, ფრიად უნაყოფო გამოდგა.

პროექტის ავტორნი კი ამბობენ, რომ გიმნაზიურ მოწმობის მიღების მოვალეობისაგან უნდა გაგვანთავისუფლოთ და სკოლის საქმეც მაშინ კარგად წავაო. მაგრამ პროექტში სრულიად არ არის შემუშავებული ის პროგრამა, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული ამგვარად „განთავისუფლებულ“ სასწავლებელში სწავლება. დღეს არსებული საგიმნაზიო პროგრამა იმიტომ არის სახელმძღვანელოდ სათავად-აზნაურო სკოლაში, რომ ეს სკოლა შინაარსით ნამდვილ გიმნაზიის თანაბარია და ისეთსავე დანიშნულებას ემსახურება, როგორც გიმნაზია. ჩვენი მასწავლებლები ხელს იღებენ გიმნაზიის მოწმობაზე, უარს ამბობენ გიმნაზიის მოწმობის მისაღებად მოწაფეთა მომზადებაზე და იმავე დროს არსებითად არ ეხებიან სწავლა-აღზრდის საკითხს და არაფერს გვეუბნებიან, თუ როგორ სურთ მოაწყონ სწავლება განთავისუფლებულ სასწავლებელში.

ეს ძირითადი ნაკლია პროექტისა, რომელიც სკოლის პედაგოგთა წინადადებას ქვიშაზე აგებულად აჩენს...

რაც შეეხება გამგე კომიტეტისაგან მასწავლებლების განთავისუფლებას, ე. ი. პედაგოგიურ საბჭოს დამოუკიდებლობას, ამაზე ბ-ნმა ი. ღულაძემ, ჩვენის აზრით, საფუძვლიანი მოსაზრება გამოსთქვა და ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ.

* * *

ეკონომიური ინტერესები და პოლიტიკური პარტიები რუსეთში *)

ახლო მომავალში რუსეთის სახელმწიფო წესწყობილება ძირიანად შეიცვლება და სახალხო წარმომადგენლობა დამყარდება. პრესსამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ერთხმად აღიარეს, რომ საარჩევნო სისტემა საყოველთაო და პირდაპირი კენჭის ყრის პრინციპებზე უნდა იყოს დამყარებული. მართლაც, მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლებას შეუძლიან უზრუნველჰყოს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მცხოვრებთა ყველა ჯგუფების თანასწორი მონაწილეობა.

როდესაც სახალხო წარმომადგენლები ერთად შეიყრებიან, ისინი უსათუოდ რამდენსამე ჯგუფად ან, ეგრედ წოდებულ, პოლიტიკურ პარტიებად დაიყოფიან. ამ წერილში ჩვენ ამ პოლიტიკურ პარტიების დაახლოვებითი ფიზიონომია გვინდა გამოვარკვიოთ.

სხვა ძვირფას განძთაგან კარლ მარქსმა „საზოგადოებრივ კლასთა“ გენიოსური იდეა დაგვიტოვა. ჯერ ისევ თავის „კომუნისტურ მანიფესტში“ მან განაცხადა, რომ „მთელის საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორია არისო“. შემდეგს თხზულებებში კი მან განმარტა, ახსნა კლასის თვისება და სხვადასხვა ისტორიული ეპოქის კლასობრივ ჯგუფებს ანალიზი გაუკეთა. კლასის და კლასთა ბრძოლის იდეამ ძალიან ხელი შეუწყო ისტორიულ განვითარების პროცესსის აღსნას და იმ სოციალურ ძალთა გამოკვლევას, რომელთაგანაც მთელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება შესდგება. ამ მოსაზრებას მჭერმეტყველურად ამტკიცებს როგორც ისტორია, ისე დღევანდელ სახელმწიფოთა მდგომარეობა.

საზოგადოებრივ კლასად ჩვენ მიგვაჩნია ჯგუფი ისეთ პირებისა, რომლებსაც ერთნაირი ეკონომიური მდგომარეობა და ერთნაირი ეკონომიური ინტერესები აერთებს. ამრიგად, ყოველ საზოგადოების, ყოველ სახელმწიფოს ძირითადი კლასები განსხვავდებიან იმ პოზიციით, რომელიც მათ წარმოების სისტემაში უჭირავთ.

მუშა კლასი იმიტომ არის შეერთებული, რომ ის ყველგან ერთნაირად გრძნობს სრულს დამოკიდებულებას კაპიტალისტთა კლასისაგან, ვინაიდან იგი იძულებულია გაჰყიდოს თავისი ერთადერთი საქონელი—სამუშაო ძალა, რომელთან ერთად ის თავის პირად თავისუფლებას, ჯანმრთელობას და ხშირად სიცოცხლესაც კი ჰყიდის ხოლმე.

მსხვილ მემამულეთა კლასი თავის კეთილდღეობას მიწის საკუთრების მოხმარებასა და რენტაზე აშყარებს. თავისი კეთილდღეობა მემამულეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიან უზრუნველ-ჰყოს, როდესაც მიწაზე კერძო საკუთრებას განამტკიცებს და ან საკუთარ კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარებით, ან იჯარის გაცემით, რაც შეიძლება, მეტს სარგებლობას მიიღებს. რადგანაც ეს კლასი მიწასთან არის დაკავშირებული, ძალიან მტრულად უყურებს კაპიტალისტებს, როგორც ისეთ საზოგადოებრივ კლასს, რომელიც ამჟამად ეკონომიურ პირველობას და პოლიტიკურ ბატონობას ეცილება.

წვრილი მესაკუთრე გლეხ-კაცობა მსხვილ მემამულეთა კლასს ვერაოდეს ვერ შეუერთდება, რადგანაც მის ეკონომიურ არსებობის საძირკველს რენტა კი არ წარმოადგენს, არამედ თავისი პირადი შრომა, საკუთარ ოფლის ღვრა. მხოლოდ მსხვილ მესაკუთრე გლეხ-კაცობას შეუძლიან მსხვილ მემამულეებს შეუერთდეს. რადგანაც გლეხ-კაცის ეკონომიურ არსებობის საძირკველს მიწა წარმოადგენს, ამიტომ გლეხ-კაცი ერთთავად იმის ცდაშია,—რაც შეიძლება, მეტი მიწა შეიძინოს ოჯახის გამოსაკვებად და ოჯახის წევრებისათვის სამუშაოს გასაჩენად.

დასავლეთ ევროპას რომ მივმართოთ, ნათლად დავინახავთ, რომ პოლიტიკურ პარტიების მოძღვრებასა და ამ პარტიების წევრთა ეკონომიურ ინტერესებს შუა მეტად მჭიდრო კავშირი არსებობს.

ინგლისში, მე-XIX-ე საუკუნეში, როდესაც კაპიტალისტური წარმოება აღორძინდა, ჩვენ ორს პოლიტიკურ პარტიას ვხედავთ—კონსერვატიულსა და ლიბერალურს. პირველი პარტია მიწათ-მფლობელ არისტოკრატიისაა, მეორე სამრეწველო ბურჟუაზიისა. მე-XIX-ე საუკუნეში ამ ორ პარტიის შორის გაცხარებული ბრძოლა იყო ატეხილი. ახლა კი ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში უსათუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს ახალი ჯგუფი—მუშათა კლასი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, საკუთარის პროგრამითა და სამოქმედო გეგმით.

გერმანიაში უმთავრესი პარტიები ეკონომიურ ინტერესების ზედ-გავლენით გაჩნდნენ და აღორძინდნენ. გერმანიაში კონსერვატიულ პარტიას აგრარული ელფერი გადაჰკრავს და მსხვილ მიწათმფლობელობის ინტერესებს იცავს. ამ პარტიამ მტკიცე ორგანიზაციის შექმნა მოახერხა და თავისი გავლენა და მოქმედება გლეხ-კაცობაშიაც გადაიტანა. ამ მოვლენას განსაკუთრებით ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ ეს პარტია ფართო სამეურნეო პრინციპებს აღიარებდა და ამით გლეხ-კაცობას თვალებს უბრმავებდა.

ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტია, რომელიც უმთავრესად კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს იცავს, გერმანიაში ვერ არის გაერთიანებული და იყოფა რამდენსამე ფრაქციად, რომელთა ხასიათიც ადგილობრივ მიზეზებისგან არის დამოკიდებული. ამ პარტიის რიცხვში უნდა ჩაითვალოს თავისუფალ-მოაზრეთა პარტია, თავისუფალ-მოაზრეთა კავშირი, ნაციონალ-ლიბერალები და ცენტრი.

მშრომელ კლასის ინტერესებს გერმანიაში მუშათა პარტია მეთაურობს. ეს პარტია განსაკუთრებულ სოციალ-ეკონომიურ თეორიას აღიარებს, რომელიც გვასწავლის, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში კაპიტალის კონცენტრაცია ხდება, მრავლდება პროლეტარიატის რიცხვი და ამრიგად კლასთა შორის გადაუვალი უფსკრული იმართება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს პარტია თავის იდეალად დემოკრატიზმს აღიარებს, ხოლო ეკონომიურს სფერაში—სოციალისტურ წესწყობილებას.

ამრიგად ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ პარტიის წარმოშობასა და ხასიათზე თუმცა სახელმწიფო ცხოვრების კონკრეტულ პირობებს გავლენა აქვს, მაგრამ ბოლოს ეკონომიურ მდგომარეობას ამა თუ იმ ჯგუფის პარტიად შემუშავებაში მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა.

რუსეთს რომ მივუბრუნდეთ, დავინახავთ, რომ აქ საზოგადოებრივ ჯგუფების ამნაირი დაყოფა ჯერ არ არსებობს. თუმცა ამ ბოლო დროს ბევრი კავშირი დაარსდა, მაგრამ თითქმის ყველას პროფესიონალური ხასიათი აქვს. პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალური მნიშვნელობა მხოლოდ იმისთანა პოლიტიკურ პარტიას აქვს, რომელიც მცხოვრებთა მასსის საერთო ინტერესების დამცველად გამოდის. ამიტომ, რამდენადაც რუსეთის ხალხი მალე დანაწილდება იმისთანა პარტიებად, რომლებადაც თავის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობის ზედ-გავლენით შემდეგში უნდა დანაწილდეს, იმდენად უფრო სასარგებლო და ხელსაყრელი იქნება ეს დანაწილება მომავალ ხალხის წარმომადგენლობისთვის.

თავდაპირველად ჩვენ შევხვდებით მსხვილ მესაკუთრეთა ჯგუფს, რომლის პოლიტიკური პრინციპიც არსებულ წესწყობილების და კერძო საკუთრების დაცვაში გამოიხატება. ეს ჯგუფი რუსეთში შექმნის უკიდურეს მარჯვენა ფრთეს.—აგრარულ კონსერვატიულ პარტიას. ჯერ-ჯერობით ეს ჯგუფი ნათლად არ გამორკვეულა და მჭიდროდ არ შეკავშირებულა, მაგრამ ეს რომ აუცილებლად მოხდება, ამას სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად წინად შემდგარ კომიტეტების მოქმედება გვასწავლის. ეს კომიტეტები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მსხვილ მიწათ-მფლობელთაგან შესდგებოდნენ, აგრარულ საკითხში სავსებით გამორკვეულ კლასიურ ნიადაგზე იდგნენ. ამ კონსერვატიულ პარტიებს, რასაკვირველია, სხვადასხვა-ნაირი ელფერი ექნება. უკიდურესი რეაქციონური ელემენტი პოლიტიკურ პროგრესის და სახელმწიფოს პოლიტიკურ გარდაქმნის წინააღმდეგ გახდება და უკიდურეს მარჯვენას შეადგენს. ზომიერი კონსერვატორები კი პარტიის მარცხენა მხარეს დაიჭერენ.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსეთში გლეხთა კლასს, რომელმაც გლეხთა დემოკრატიული პარტია უნდა შექმნას. ჩვენ აქ მხედველობაში გვყავს გლეხთა განსაკუთრებული კატეგორია, ე. ი. ის გლეხკაცობა, რომელიც მიწას თავის საკუთარის და ოჯახის შრომით ამუშავებს. ამ გლეხთა კლასს აქვს თავისი საკუთარი ინტერესები, რომლებიც ხშირად მსხვილ მესაკუთრეს ინტერესებისგან განსხვავდება ხოლმე. გლეხ-კაცის უმთავრეს ყურადღებას მიწა იქცევს, გლეხ-კაცი მიწისადმი განსაკუთრებულ მისწრაფებასა გრძნობს. ამითი უნდა აიხსნას ის იმედები, რომელიც რუსეთის ხალხს უღვივის გულში მიწების ხელახლად დაყოფის შესახებ. მართალია, წვრილ მესაკუთრესა და მსხვილ მემამულის შუა არავითარი სოლიდარობა არ არსებობს, მაგრამ წვრილი მესაკუთრე გლეხკაცობა თავის ინტერესებით მაინც მუშათა პარტიას, პროლეტარიატს, ვერ შეუერთდება: კერძო საკუთრება გლეხ-კაცის პსიხოლოგიას განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამს. ჩვენ პრინციპიალურად ვასახელებთ გლეხთა დემოკრატიულ პარტიის დაარსებას, მაგრამ ამით ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რომ გლეხკაცობის ყველა წარმომადგენელს ერთნაირი ელფერი ექნება. ჩვენ აქ შევხვდებით როგორც ზომიერს, ისე რადიკალურ ჯგუფებსაც. გლეხთა პარტიის მარჯვენა ფრთე კონსერვატიულ ელემენტებს დაუახლოვდება, მარცხენა კი უფრო სოციალისტურ აზრებით იქნება შეფერებული.

მესამე მსხვილი პოლიტიკური პარტია ვაჭრებისა და მრეწველთა კლასმა უნდა შექმნას. ეს პარტია უსათუოდ თავის ინტერესების დაცვას ეცდება, პროტექციონიზმს გამოესარჩლება და მუშათა ფართო კანონმდებლობის შემოღებას წინააღმდეგება.

---

*) მ. სობოლევის წერილიდან.

დარჩა მუშათა კლასი. ახლანდელ დროში ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ მუშათა კლასი თანდათან მჭიდროდ კავშირდება და იწვრთნება პოლიტიკურად. კაპიტალისტურმა წესწყობილებამ შეაერთა მუშათა კლასი, რომელიც საერთო ძალით შეუდგა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზოგმა იქნება არც კი იცოდეს, რა დიდძალი პროლეტარიატი ჰყავს მეურნეობით განთქმულ ქვეყანას! რუსეთში ორ მილიონამდე სამრეწველო მუშები არიან, 650,000 მადნებზე მომუშავე, 550,000 რკინის გზის მუშა, 800,000 სავაჭრო მომუშავენი, სულ 4.200,000 კაცამდეა. ახლა მხედველობაში რომ ამათი ოჯახებიც მივიღოთ, სულ რუსეთში ორივე სქესის 20—22 მილიონამდე პროლეტარიატი იქნება. როგორც მკითხველი დაინახავს, პროლეტარიატი რუსეთში არც ისე ცოტა ყოფილა, როგორც ეს ზოგსა ჰგონია.

ადვილი საფიქრებელია, რომ რუსეთში ნაციონალური პარტიებიც გაჩნდებიან. ეს პარტიები სხვადასხვა დამოკიდებულ ეროვნებათაგან შესდგებიან. ამ ნაციონალურ პარტიებს დაჰბადავს პატარა ერების ის შევიწროვებული მდგომარეობა, რომელშიაც ბიუროკრატიამ ჩააყენა. ეროვნულმა შევიწროვებამ, შეიძლება, დამონებულ ერების ბურჟუაზია და მშრომელი ხალხი შეაკავშიროს კიდეც.

ჩვენის აზრით, ამნაირ პოლიტიკურ პარტიებს გამოაჩენს რუსეთის მომავალი პოლიტიკური ცხოვრება. იქნება სინამდვილეში ეს სქემა სავსებით არ გამართლდეს, მაგრამ დაახლოვებით კი მაინც ასეთი იქნება პოლიტიკურ პარტიებად დაყოფა ახლო მომავალში რუსეთის მცხოვრებლებისა.

ა. ჯ—შვილი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივნისი.

ხარკოვი, 17 ივნისი. ლებედინის მაზრაში, სადაც გუბერნატორი წავიდა, გლეხები ჯგუფ-ჯგუფად დაიარებიან სოფლად და მუშებს მუშაობაზე ხელის აღებას აიძულებენ.

რეველი, 17 ივნისი. გაპსალში გაფიცული რკინის გზის მუშები 10 საათის სამუშაო დღის შემოღებას ითხოვენ.

ვარშავა, 17 ივნისი. პოლონეთის მუშათა პარტიამ სოციალისტ პარტიის საწინააღმდეგოდ გამოსცა პროკლამაცია, რომელშიც იწვევს გაფიცვაზე ხელი აიღეთ და ისევე ჩვეულებრივად დაიწყეთ შრომათ, რომ ამითი საშორთ თქვენს ოჯახობას გაღარიბებათ.

კრასნოვოდსკი, 17 ივნისი. ადგილობრივი სამხედრო ადმინისტრაცია სივანში წავიდა. ჩაგონებამ არ გასჭრა. გლეხები—ხორბალს იხაწილებდნენ და შინისკენ გაჰქონდათ. ინაწილებენ და მკიან აგრეთვე ყანებს. გამგე გაიქცა, მისი შვილი გადახვეწია. ელიან გუბერნატორისა და ჯარის ჩამოსვლას.

სევასტოპოლი, 17 ივნისი. საღამოს 8 საათზე ადესაში წავიდა ჯავშნიანი გემები: „ტრი სვიატიტელია“ „დვენადცატ აპოსტოლოვ“, „როსტისლავ“, „სინოპ“, სანაღმო კრეისერი „კაზარსკი“ და რამდენიმე ნაღმიანი გემიც. ამ ესკადრას ვიცე-ადმირალი კრიგერი უფროსობს.

ბათომი, 17 ივნისი. მოვიდა ცნობა, რომ ბათომში უცხოეთის გემები აღარ იცდიან, ექსპორტერები ამის გამო მეტად შეწუხებულნი არიან.

კალიში, 17 ივნისი. ეკლესიასთან მანიფესტაციის მოხდენა უნდოდათ, მაგრამ ჯარმა და პოლიციამ დროზე მოუსწრო და მანიფესტაცია აღარ მოხერხდა.

ბერლინი, 17 ივნისი. „ლოკალ ანცეიგერის“ სიტყვით, დღეს ვიგურამ და ბიულოვმა გადასწყვიტეს, რომ მაროკოს შესახები კონფერენცია ნამდვილად უნდა შესდგესო.

ლონდონი, 17 ივნისი. ქვედა პალატამ საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს პრეტინდიმა განაცხადა, შორეულ აღმოსავლეთში ახლანდელმა ომიანობამ დაამტკიცა წყალ-ქვეშ მავალ ნავების საჭიროება, ვინაიდან ამნაირ ნავებთან ბრძოლა მხოლოდ ამავე ნავებს შეუძლიათო.

ვილნა, 17 ივნისი. „ვილენსკი ვესტნიკის“ რედაქციაში შემოწირულება შემოდის მოკლულ პოლიცეისთვის გვირგვინის საყიდლად. პოლიციელი თავის სამსახურის ასრულების დროს მოკლეს.

ვარშავა, 17 ივნისი. „ვარშავსკი კურიერში“ მოთავსებულია არქიეპისკოპოზის პოპელის მოწოდება მუშებისადმი ლოძში. პოპელი საჭიროდ სცნობს მუშათა საკითხის მოწესრიგებას, მაგრამ ჰკიცხავს ძალმომრეობას და მშვიდობიან შრომისადმი იწვევს მუშა ხალხს,—აგიტატორებს ნურაფერ გჯერათო.

ხოტინი, 17 ივნისი. მაზრის ერობამ შესწყვიტა ომის ველიდან დაბრუნებულ ჯარის კაცთა ოჯახებისთვის დახმარების გაცემა. მრავალი მათგანი ულუკმაპუროდ არის.

კავკაზი, 17 ივნისი. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ცნობა გაცარცვის შესახებ ლარსსა და ბალტას შუა მართალი არ არის.

ვიტებსკი, 16 ივნისი. ღამე ორი ტყვიით მძიმედ დასჭრეს ბოქაული კუდრივსკი. გამოძიება სწარმოებს.

პეტერბურგი, 17 ივნისი. უმაღლესი რესკრიპტი. ფინლანდიის ჩვენს გენერალ-გუბერნატორის, ვიბორგის ყოფილ გუბერნატორის, აწ სენატორის მიასოედოვის განსაკუთრებულ ღირსებათა დასაჯილდოვებლად, სამსახურის დროს დაღვრილ სისხლის დასაფასებლად ჯამაგირს გარდა სიკვდილამდის ეძლევა ფინლიანდიის ხაზინიდან პენსიად ორი ათასი მანათი ყოველ წლიურად.

ლოძი, 17 ივნისი. რკინის გზით ლოძში ჩამომსვლელთა ვინაობას აქ სასტიკ კონტროლს უწევენ. ამიტომ ვურჩევთ ყველას, აქეთკენ მომავალს, თან იქონიონ პასპორტი და მოწმობა, რომელშიაც უნდა იყოს აღნიშნული ჩამოსვლის მიზანი. ქალაქში სრული მშვიდობიანობაა, ცხოვრება ჩვეულებრივად მიდის.

ბერლინი, 16 ივნისი. იმპერატორმა ადმირალი კესტერი გენერალ-ადმირალად დანიშნა. ეს თანამდებობა გერმანიაში აქამდის არ არსებობდა.

პარიზი, 16 ივნისი. მთავრობამ ნება დართო გერმანიის საზღვაო აგენტს სამხედრო ნავთ-სადგურები ბრესტი და ლორიანი დაათვალიეროს.—სულთანს სურს იემენი ოთხს ვილაიეტად გაჰყოს; ვილაიეტის გენერალ-გუბერნატორად არაბებს დანიშნავს.—საფრანგეთის პოლიციამ ტულონში გერმანიის ორი ჯაშუში დაიჭირა.—აბაშეთის შესახებ საბოლოო შეთანხმება საფრანგეთსა, იტალიასა და ინგლისს შუა ახლო მომავალში მოხდება. ეს შეთანხმება განსაკუთრებით საფრანგეთისთვის არის სასარგებლო.

მოსკოვი, 14 ივნისი. ქვის კორპუსი და ლუდის ქარხნის ორი ხის შენობა დაიწვა. ზარალი ნახევარ მილიონამდე იქნება. სადგურ ლიუბერცთან, ხაუ-იორკის ქარხანაში, მუშები გაიფიცნენ.

ორენბურგი, 16 ივნისი. ტაშკენტის რკინის გზაზე ოთხასი მიწის მთხრელი მუშა გაიფიცა.

ევპატორია, 16 ივნისი. მანიფესტანტთა ჯგუფმა ქალაქის ქუჩები დაიარა, საბჭოსთან მივიდა და მერე დაიშალა.

მოსკოვი, 17 ივნისი. მობილიზაცია მშვიდობიანად ხდება.

პარიზი, 17 ივნისი. მინისტრთა საბჭომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ამერიკისა და ინგლისის ესკადრების დახვედრის შესახებ.

პეტერბურგი, 17 ივნისი. საერთო გადასახადებს მოუმატეს. ვადად ფინანსთა მინისტრმა 1905 წლის 1 ენკენისთვე დანიშნა.—რადომის სავადმყოფოში 14 ივნისს მოიყვანეს ერთი საეჭვო სენით ავადმყოფი, რომელიც 15 ივნისს გარდაიცვალა. ფიქრობენ, ხოლერით იყო ავადაო. ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას შეუდგნენ.

პეტერბურგი, 17 ივნისი. ოფიციალური. უმაღლესი ბრძანება სენატის სახელობაზე: პირველი. ერევნის გუბერნიაში მომხდარ არეულობათა მოსასპობად და წესიერების აღსადგენად ჩვენ საჭიროდ ვცანით: 1) ერევნის გუბერნიაში სამხედრო წესები გამოცხადდეს; 2) ჩვენს მთადგილეს კავკასიაში სამხედრო უფროსისა და ადმინისტრატიულ ორგანოების განსაკუთრებული უფლებები მიენიჭოს; 3) ნება მიეცეს ნამესტნიკს ამ საქმის ასასრულებლად თავისი რწმუნებულები აირჩიოს ხოლმე; აგრეთვე რწმუნებულთა განკარგულების გაუქმების ნებაც მიეცეს“. (გაგრძელება იქნება).—

ბელოსტოკი, 17 ივნისი. «ბუნდა» პროკლამაციებში აცხადებს, უკანასკნელი მკვლელობა „ბუნდის“ წევრებს არ ჩაუდენიათო.

ტაშკენტი, 17 ივნისი. ესსენტუკში ბუხარის ემირი მოვიდა.

ბუდაპეშტი, 17 ივნისი. უნგრეთის სხვადასხვა ნაწილებში სოფლის მუშების გაფიცვა დაიწყო. რამდენსამე მემამულეს ცეცხლიც წაუკიდეს. გაფიცულებს ჟანდარმებთანაც მოუვიდათ შეტაკება. მოკლული ერთია, დაჭრილი კი ბევრი.

პეტერბურგი, 17 ივნისი. ოფიციალური. ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ის ხმები, ვითომც პენსიებზე გადასახადებს აწესებენო, სიმართლეს მოკლებულია.

მოსკოვი, 17 ივნისი. ქალაქების წარმომადგენელთა საბჭომ ერთხმად დაადგინა, ახლავე აუცილებლად საჭიროა პიროვნებისა და სადგომის ხელ-შეუხებლობა, თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, შეკრებისა და კავშირებისა და პოლიტიკურ და რელიგიურ დამნაშავეთა სრული ამნისტია, უნდა გაუქმდეს გაძლიერებული დაცვა, რადგანაც უამისოდ წარმომადგენლების ამორჩევა შეუძლებელიც ახდება. ბულიგინის პროექტის განსახორციელებლად უკმაყოფილებას გამოცხადებსო. გადასწყვიტეს, რომ ქალებსაც მიენიჭოს წარმომადგენლების ამორჩევის უფლება.

კრონშტადტი, 17 ივნისი. კომმერციულ გემების დამტვირთველნი გაიფიცნენ. რამდენიმე ათასი კაცია გაფიცული. ჯამაგირის მომატებას თხოულობენ. ღვინის დუქნები და სასტუმროები დაკეტილია.

კონსტანტინეპოლი, 17 ივნისი. მალე მიტროპოლიტს აირჩევენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

18 ივნისი

ლონდონი, 17 ივნისი. პრინცი და პრინცესა არისუგავა ლორდმერმა საუზმეზე დაიპატიჟა. საუზმეზე იყვნენ აგრეთვე ჩემბერლენი, ლანსდოუნი და სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირებიც. იაპონიის პრინცის სადღეგრძელოზე ლორდმერმა სურვილი გამოსთქვა, რომ მალე ჩამოვარდეს მშვიდობიანობა. პრინცმა მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და გამოაცხადა, იაპონიის მიკადომ დეპეშით უწყალობა ლორდ-მერს „ამომავალ მზის“ ორდენიო.

ნიუ-იორკი, 16 ივნისი. იაპონიამ ამ უკანასკნელ თვეებში დაახლოვებით 15 მილიონ დოლარის ფოლადი შეუკვეთა, აგრეთვე მანქანები და რკინის გზის საშენებელი მასალა.

კალუგა, 17 ივნისი. მობილიზაცია ბობროვის, ქინდრინის, კოზელსკის და მოსალსკის მაზრებში წესიერად სწარმოებს.

ცარსკოე სელო, 17 ივნისი. მობილიზაციის მეორე დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. გაწვეულ ჯარის კაცებს ქალაქი სადილს უმართავს და საჩუქრებს აძლევს.

შანხაი, 17 ივნისი. იაპონიის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც უცხოეთში მცხოვრებ ახალგაზრდობას სამხედრო სამსახურისთვის გამოსაცხადებლად იწვევს, რის გამოც შანხაიდან სამასამდი კაცი მიდის იაპონიაში. ჩინეთის ყველა ნავთსადგურში გროვდებიან ჯარში გასაყვანი იაპონელები.

სუეცი, 17 ივნისი. დღეს აქ კრეისერი „დნეპრი“ მოვიდა.

პეტერბურგი, 17 ივნისი. პეტერბურგში მობილიზაცია იყო. მოვიდნენ ახალი ჯარის კაცები პეტერბურგის, ცარსკო-სელსკის და პეტერგოფის მაზრებიდან. სრული წესიერებაა.

ხარბინი, 17 ივნისი. წვიმების ხანა მანჯურიაში ჯერ არ დამდგარა. ჯარებში სიწყნარეა. ყველა საავადმყოფოში სამი ათასამდე სნეული და დაჭრილია.

ლონდონი, 17 ივნისი. იაპონიამ შეუკვეთა ორი ჯავშნიანი გემი, თითო 19000 ტონიანი იქნება.

სიტიაზა, 17 ივნისი. იაპონელები გაცხარებით ზვერავენ აქაურობას. მარცხენა ფრთეზე იაპონიის ჯარი ცდილობდა მდინარე ასინგოუს ხევისკენ გასვლას. რუსის მოხალისეთა რაზმმა იერიში მიიტანა ხუნხუზთა რაზმზე. ხუთი ხუნხუზი მოიკლა. რუსებმა ხელში ჩაიგდეს იარაღი და 17 ცხენი.

პარიზი, 17 ივნისი. დეპეშა „ეკლერი“ რომიდან იტყობინება, რუსის ელჩი მურავიოვი პარიზში მოვა და ნელიდოვის ადგილს დაიჭერს, ნელიდოვი კი ზავის შესახებ მოლაპარაკების დროს რუსეთის რწმუნებულად დაინიშნებაო.

პორტ-ლუი, 17 ივნისი. რუსის ტრანსპორტი „ანადირი“ დიეგო—სუარეცში მოვიდა და თან „არიოლზე“ გადარჩენილი სალდათები მოიყვანა.

ტოკიო, 17 ივნისი. ოფიციალური. გუშინ პორტ-არტურში ჯავშნიანი გემი „პერესვეტი“ ამოვიღეთ.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მანჯურიაში. ტოკიოდან რეიტერის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ: ამჟამად იაპონიის დიდი ქალაქი ჯარებით სავსეა. ჯარს განუწყვეტლივ გზავნიან ბრძოლის ველზე (რ. ს.).

მოჯიდან „დელი ტელეგრაფს“ დეპეშით ატყობინებენ: მანჯურიაში დიდი წვიმები დაიწყო. გზები გაფუჭებულია, მდინარეები ადიდდნენ. ამისდა მიუხედავად, იაპონელები მაინც წინ მიიწევენ, რუსებს კი მოძრაობა ძალიან უჭირთ. მიზეზი ის არის, რომ იაპონიის ჯარს მსუბუქი ქარავანი მისდევს, სალდათს კი სულ ოციოდე გირვანქა ბარგი ჰკიდია. რუსებს საშინლად მძიმე და გაუხეშავი ქარავანი აქვთ, თითო სალდათს კი სამი ფუთი ბარგი ჰკიდია.

მიშჩენკოს კაზაკებს, რომლებსაც მთელი რუსეთი იმდენს აქებდა, რომ მთელ ქვეყანას ყურები გამოუჭედა, ომის ბედი დასცინის. თუმცა კაზაკებს 3 ივნისს დიდი მაშველი რაზმი მოუვიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც წინა დღეებში იაპონელებმა დღე დააყარეს, კაზაკებს ბრძოლა როგორღაც ჰკუაში არ მოსდით.

რუსებს ძალიან შორს აქვთ მთავარი საწყობები სურსათისა და ამიტომ საჭმელს ჯარს დროზე ვერ აწვდიან. ჯარი განუწყვეტლივ სინესტეში იმყოფება. ავადმყოფობა გახშირდა (რ. ს.)

ზავი. „ნ. ფრ. პრ“-ს აზრით, ევროპაში აღარ სჯერათ ზავის მოახლოვება. ყველას უნდა, რომ შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა ჩამოვარდეს,—სწერს ვენური გაზეთი,—მაგრამ თითქმის არავის სჯერა, რომ ახლო მომავალში ეს შესაძლებელი იყოს (რ. ს.).

ზავის იმედი არც ამერიკაში ჰქონიათ. „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ს ვაშინგტონიდან დეპეშით ატყობინებენ: ეხლა კი ცხადია, რომ დროებით მორიგება არ მოხდება. იაპონია მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება დროებით მორიგებაზე, თუ რუსეთმა მოითხოვა იგი, მაგრამ არც რუსეთსა სურს ომის დროებით შეჩერება. ამერიკელები ამბობენ, როგორც ეტყობა, რუსეთს გადაწყვეტილი აქვს ომი რამდენისამე წლით გააჭიანუროს და იაპონია მოღალოსო, მაგრამ,—უმატებენ ამერიკელები,—რუსეთის ბიუროკრატია ცეცხლს ეთამაშება: ბიუროკრატები შინ უეჭველად დამარცხდებიან, იაპონია კი კორეასა და მანჯურიის გარდა სახალინსაც წაართმევს, ვლადივოსტოკსაც, ამურის ოლქსაც და კონტრიბუციასაც (რ. ს.).

ბიუროკრატიის მოწოდება. „ჟურნალ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ბიუროკრატია შეშინებულია, ვაი თუ მართლა იაპონიის ფლოტი ბალტიის ზღვაში გაჩნდესო და წინდაწინვე ემზადება იმის დასახვედრად. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ადმირალ ტოგოს ფლოტს ბალტიის ზღვაში რუსეთი ვერც ერთ ხეირიან გემს ვერ დაახვედრებს. ეგ არის, ზღვის ნაპირა პორტებს—კრონშტადსა, რეველსა და ლიბავას ამაგრებსო (რ. ს.).

ადმირალ ალექსეევს უთქვამს „სლოვო“-ს თანამშრომლისთვის: რუსეთის მხრით უდიდესი შეცდომა იქნება სახალინის დათმობა. იმით რუსეთს სამუდამოდ მოესპობა წყნარ-ოკეანეში გასასვლელი გზა. მეორე მხრით, სახალინი უმდიდრესი კუნძულია. რუსეთი ძალიან შეცდა, რომ იქ კატორგა გამართა, მრეწველობას განვითარებას კი ყურადღება არ მიაქციაო. ამას ფრანგული გაზეთი „ჟურნალ“-ი შენიშნავს: ყველა კარგი, მართალია, მაგრამ ცოტა... ნაგვიანებია. სად იყავით დღემდის,—ეკითხება ალექსეევს გაზეთი და უმატებს: ძაღლი თივაზე წევს, არც თვითონ სჭამს არც სხვას ანებებსო. თქვენ, რუსებსაც, აგრე დაგემართათ. ეხლა კი მაგაზე ლაპარაკი გვიანღაა, რადგან იაპონია სახალინს არ მოითხოვს, არამედ ძალით აიღებს და ისე დაისაკუთრებს, როგორც თქვენ, რუსებმა დაისაკუთრეთო (სახალინი უწინ იაპონიას ეკუთვნოდა). თქვენ ამურის ოლქს გაუფრთხილდით, თორემ სახალინის საქმე წასულიაო,—აფრთხილებს რუსეთს ზემოხსენებული გაზეთი (რ. ვ.).

ახალი ამბავი

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს „ბელვიუს“ ბაღში **დანიშნულია სახალხო სეირნობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.**

✦ გასულ წლის ნოემბერში ქალაქის საბჭომ აირჩია ცალკე კომისია, რომელსაც უნდა განეხილა მოწოდება მოსკოვის ქალაქის მოურავისა იმპერიის ყველა ქალაქების მოურავთა კრების გამართვის შესახებ. კომისიაში არჩეულ იქმნენ ა. ს. ბაბოვი, ი. მ. დოლუხანოვი და ს. თ. პრელაშვილი. ამ კრების მოწვევის ნაცვლად,

ფელეტონი

—

სახელმწიფო და მოქალაქე

ძველ დროში სახელმწიფო თავის ქვეშევრდომთა შესახებ სრულიად შეუზღუდველ უფლებათა მქონე იყო. აიღებთ ძველის დროის რესპუბლიკას, თუ იმპერიას,—ერთსა და იმავე მოვლენას შენიშნავთ: პიროვნებას არა აქვს არავითარი თავისი უფლება, რომელიც მას შეეძლოს დაუპირდაპიროს სახელმწიფოს. თითქმის ამასვე ვხედავთ ფეოდალურ ხანაში. ამ ხანაში აზნაურობა ხანდახან იბრძვის მეფეს თავის უფლებათა დასაცველად, რადგან მას სწამს კერძო ომის უფლება. მაგრამ საზოგადო სახალხო უფლება აქაც უარყოფილია. როცა ფეოდალობა დაეცა და მის ნიადაგზე აღმოცენდა აბსოლუტობა, მეფის უფლების განუსაზღვრელობა,—კერძო პიროვნება წინანდებურად უუფლებო დარჩა, ვინაიდან უფლების მხრივ შეუზღუდველ სახელმწიფოს მიზანი იყო და არის სრულიად მოსპობა ყოველისავე ინდივიდუალურ უფლებისა. აბსოლუტურ სახელმწიფოში ხალხი შეადგენს ქვეშევრდომთა კრებულს, რომელთაც მორჩილებით უნდა იკისრონ ყოველივე მოვალეობა, ხოლო უფლებაზე კი კრინტი არ უნდა დასძრან.

აქედან მომდინარეობს მმართველის თვითნებობა და მისი შეხედულობა, რომ მთელი სახელმწიფო, მთელი ხალხი თავისი ქონებით მხოლოდ ხელმწიფის საკუთრებაა. აქედანვე მომდინარეობს არა ხალხის ინტერესებზე ზრუნვა, არამედ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება, დაუდევრობა, გარყვნილებაში გაფლანგვა სახელმწიფო სიმდიდრისა, ხალხის ტანჯვა და წვალება.—ეს მდგომარეობა, ხალხისა და აბსოლუტურ მმართველის დამოკიდებულება მშვენივრად დაახასიათა საფრანგეთის ორმა მეფემ. ლუი მე-XIV სთქვა: სახელმწიფო მე ვარო, (l'e'tat c'est moi), ხოლო მისმა მემკვიდრემ დაუმატა: ჩემ შემდეგ წარღვნაც მოსულაო (Aprés nous le de'luge). ეს ორი ისტორიული ფრაზა შესანიშნავად ახასიათებს აბსოლუტურ უფლებით აღჭურვილ მმართველთა შეხედულებას ხალხსა და სახელმწიფოზე.

ამნაირად, ერთის მხრით, ძალა განუსაზღვრელი, თვითნებითი, ხალხის დამჩაგვრელი და გამყვლეფი, მეორე მხრით—ხალხი დამონავებული, ყოველ უფლებას მოკლებული,—აი, ესაა შინაარსი პოლიტიკურ აბსოლუტიზმისა.

მაგრამ ისტორიულ მსვლელობის აუცილებლობას მეფეების ძლიერებაც ვერ გაუმაგრდა. ის ძალები, რომელთაც ხელი შეუწყეს აბსოლუტობის გაძლიერებას, მალე თვით ამ აბსოლუტობის წინააღმდეგ მიიმართნენ. საზოგადოების ევოლუციაში გაჩნდა ახალი ძალა,—მესამე ელემენტად წოდებული,—რომელმაც შემუსრა აბსოლუტობა და დაამყარა ახალი მოქალაქობრივი ცხოვრება. აბსოლუტიზმისა და ხალხის ბრძოლა და ამ ბრძოლაში ხალხის გამარჯვება—საერთო მოვლენაა ყველა განათლებულ ქვეყნების ისტორიაში. დღეს ევროპაში მხოლოდ რუსეთი და ოსმალეთი დარჩენილან, სადაც მეფის თვითმპყრობელობა კიდევ არსებობს.

არსად ისე მკაფიოდ არ გამოხატულა ბრძოლა აბსოლუტიზმსა და ხალხს შორის, როგორც საფრანგეთში. საფრანგეთის დიდი რევოლუცია სამაგალითოდ გახდა მთელს ევროპისათვის. როგორც მოგეხსენებათ, საფრანგეთში მეფესა და ხალხს შორის ატეხილ ბრძოლას გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდნენ ევროპის მეფეები და მათი მომხრეები და წინდაწინვე ხედავდნენ საფრანგეთის ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავისი თავის დამარცხებას. მართლაც, ევროპის მეფეები აღსდგნენ საფრანგეთის წინააღმდეგ. მაგრამ საფრანგეთის ხალხმა, თავისუფლების წყურვილით აღტაცებულმა, თავის აღმაფრენაში შემუსრა ხალხის მტრები. ფრანგთა ჯარების გალაშქრება სხვადასხვა ქვეყნებში ნიშნავდა თავისუფლების გალაშქრებას მტარვალების წინააღმდეგ; იგი ნიშნავდა მტარვალების დამარცხებას და ხალხის გამარჯვებას,—საფრანგეთის ერმა სხვა ქვეყნებშიაც გაანთავისუფლა ხალხი პოლიტიკურ დაბეჩავებისაგან.

რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ამ განთავისუფლების ხასიათი. საბოლოოდ ხალხის გამარჯვებით ისარგებლა ბურჟუაზიამ და, წოდებრივ ბატონობის მაგიერ, დაამყარა კლასებრივი ბატონობა, შექმნა ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელიც წყობილების ქვაკუთხედად სდებს და იცავს კერძო საკუთრებას. როცა ბურჟუაზია პირველად გამოვიდა პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე, მაშინ საწარმოვო ძალა ჯერ კიდევ სუსტი იყო და მუშა-ხალხის პოლიტიკური შეგნება და კლასობრივი ერთობა დაბალ საფეხურზე იდგა. ამიტომ იმ დროს არ ჩნდა მუშა-ხალხის მომწიფებული მოქმედება. მესამე წოდებამ, ე. ი. ბურჟუაზიამ მთელი ხალხი გააერთიანა აბსოლუტიზმისა და აზნაურობის წინააღმდეგ, საბრძოლველად. მოწინავე ელემენტი და ხელმძღვანელი ამ ბრძოლაში იყო ბურჟუაზია, რომელმაც სავსებით ისარგებლა ხალხის გამარჯვებით და დაამყარა ახალი წყობილება,—სავსებით ბურჟუაზიული.

მაგრამ რამდენადაც აქ ბრძოლა იყო ახლისა ძველის წინააღმდეგ, რამდენადაც ერთის მხრით იდგა ძველი აბსოლუტიზმი და აზნაურობა თავის ძალმომრეობით,—მეორე მხრით—უუფლებო ხალხი, იმდენადვე საფრანგეთის რევოლუცია იყო მთელ ხალხის გამარჯვება. მან მთელ ხალხს მიანიჭა უფლებრივი თავისუფლება და პოლიტიკური უფლება,—ხალხი გამოაცხადა თვითმპყრობელად.

მაშინდელ პოლიტიკურ მოღვაწეთა წარმოდგენით, საზოგადოება წარმოადგენს თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოებრივ ხელშეკრულობაზე დამყარებულ კავშირს. თავისუფალი მოქალაქენი თავის უფლების ნაწილს უთმობენ სახელმწიფო ძალას, რომ ამით უფრო უზრუნველ ჰყონ დანარჩენი უფლებანი. აი, ამ უფლებებს ფრანგებმა დაარქვეს «მოქალაქისა და ადამიანის უფლებები». ეს ის უფლებებია, რომელთა შელახვა არ შეუძლიან არავითარ ძალას, ეს უფლებები ადამიანს „თანდაყოლილი“ აქვს და ამიტომ ისინი შეადგენენ სახელმწიფო ძალის საზღვარს და მასთან ამ ძალის არსების საფუძველს.

26 აგვისტოს 1789 წლისა საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ საქვეყნოდ გამოაცხადა „ადამიანისა და მოქალაქის უფლების დეკლარაცია“. რადგან ამ ისტორიულ დოკუმენტს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა დაწინაურებულ ხალხთა განვითარებაში, ამიტომ ჩვენ სავსებით აღვნიშნავთ აქ ამ დეკლარაციას.

ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია.

1. ყოველი ადამიანი დაბადებით თავისუფალი და სხვებთან სრული თანასწორია და ასეთივე რჩება მთელ სიცოცხლეში. სხვადასხვა საზოგადოებრივი განსხვავება შეიძლება იქმნეს შემოღებული ხალხში მხოლოდ საზოგადო სარგებლობის გულისთვის.

2. ყოველივე პოლიტიკურ კავშირის მიზანი ადამიანის ბუნებრივ და განუყრელ უფლებათა დაცვა. ეს უფლებებია: თავისუფლება, საკუთრება, უზრუნველყოფილება და ძალმომრეობის წინააღმდეგობა.

3. ყოველივე უმაღლეს სახელმწიფო უფლების (სუვერენიტეტის) სათავე და პირველი წყარო—ხალხია. არც ერთ კერძო პირს ან რაიმე დაწესებულებას არ შეუძლია განახორციელოს რამე სახელმწიფო უფლება, რომელიც ხალხის ნებაზე არ არის დამყარებული.

4. თავისუფლება ის არის, რომ ადამიანს შეუძლია მოიმოქმედოს ყველაფერი, რაც სხვას არ ავნებს. ამიტომ ყოველ ადამიანის ბუნებრივ უფლებათა განხორციელებას მხოლოდ ის საზღვარი ედება, რომელიც საზოგადოების დანარჩენ წევრებისთვისაც უზრუნველ-ჰყოფს ამავე უფლებებით სრულ სარგებლობას.

5. კანონს შეუძლია მხოლოდ საზოგადოებისათვის მავნებელ მოქმედების აკრძალვა. არავის არ აქვს უფლება სხვას დაუშალოს ისეთი რამე, რაც კანონით პირდაპირ აკრძალული არ არის, ან ძალით ჩაადენინოს ისეთი რამე, რასაც მას პირდაპირ არ ავალებს არსებული კანონი.

6. კანონი საერთო ნების გამოხატვაა. ყოველ მოქალაქეს მინიჭებული აქვს უფლება ან თვითონ პირდაპირ ან წარმომადგენლის შემწეობით მიიღოს მონაწილეობა კანონის შექმნაში. კანონი უნდა იყოს ყველასთვის თანასწორი, სულ ერთია,—დამსჯელია იგი, თუ დამცველი. რაკი კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია, ამიტომ ყველას შეუძლია თანასწორად მიიღოს ყოველი ღირსება, ადგილი და საზოგადო თანამდებობა ყოველ განსხვავების გარეშე, იმის გარდა, რომელიც ადამიანის ნიჭზე და სათნოებაზე არის დამყარებული.

7. არ შეიძლება ადამიანის პასუხის გებაში მიცემა, დატუსაღება ან დაჭერა იმ შემთხვევების გარდა, რომელიც გარკვევით ჩამოთვლილია კანონში, და შეიძლება მხოლოდ კანონის-მიერ ნაჩვენებ ყველა წესების შესრულებით. ვინც გამოითხოვს, სხვას გადასცემს, თვითონ ასრულებს ან სხვას დაავალებს რამე უკანონო ბრძანების სისრულეში მოყვანას,—უნდა დაისაჯოს. სამაგიეროდ კანონის ძალით გამოწვეული ან დაჭერილი ყოველი ადამიანი ვალდებულია დაუყოვნებლივ დამორჩილდეს. ურჩობა ამ შემთხვევაში ჩაითვლება დანაშაულობად.

8. კანონის-მიერ მხოლოდ აუცილებლად საჭირო სასჯელი უნდა იყოს გადაწყვეტილი: ადამიანის დასჯა მხოლოდ იმ კანონის ძალით არის შესაძლო, რომელიც გამოცემული და გამოცხადებულია დანაშაულის ჩადენის წინად და სისრულეში გადაწყვეტილ წესის თანახმად მოყვანილია.

9. ყოველი ადამიანი ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი დანაშაული სასამართლოში არ იქნება დამტკიცებული. ამიტომ ყოველთვის, როცა საჭირო ხდება ვისიმე დატუსაღება, კანონით აკრძალულია ყოველი ზომა, რომელიც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ საშუალება მოუსპოს სასამართლოს გვერდი აუხვიოს ან გაექცეს.

10. არავის არ უნდა სდევნიდნენ რწმენისათვის, სარწმუნოებრივ საქმეებშიც კი, თუ ამ რწმენის გამომჟღავნება კანონის-მიერ დამყარებულ წესებს არ არღვევს.

11. თავის აზრებისა და შეხედულების თავისუფალი გამოთქმა ყოველივე ადამიანის ერთი უძვირფასესი უფლებათაგანი. ამიტომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად ილაპარაკოს, სწეროს და ბეჭდოს და პასუხის-მგებელი იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონისგან განსაზღვრულ შემთხვევაში ბოროტად ისარგებლებს ამ თავისუფლებით.

12. ადამიანის და მოქალაქის უფლებათა უზრუნველ-ყოფისთვის საზოგადოებრივი მართველობაა საჭირო. ეს მართველობა საზოგადო სარგებლობისთვის არის შემოღებული და არა იმათ სასარგებლოდ, ვისაც ეს მმართველობა აქვს ჩაბარებული.

13. საზოგადოებრივ მართველობის შესანახად სა-

ეროვნული

კომისიამ დაადგინა, რომ საქალაქო საქმე შემდეგ საფუძველზე უნდა დამყარდესო: 1) გაფართოვება ამომრჩეველთა უფლებისა; 2) სრული თავისუფლების მინიჭება ქალაქის საქმეების საწარმოებლად; 3) გადასახადთა სისტემის შეცვლა საქონლის ღირებულობის მიხედვით; 4) განთავისუფლება ქალაქის თვითმართველობისა ყველა ხარჯებისაგან, რომელსაც იგი ეწევა სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა, **რომ მეეზოვეთ პოლიციური მოვალეობანი ჩამოეცალოს** და სახლის პატრონთა ნება-ყოფლობაზე იყოს მინდობილი მათი დაქირავება, ეროვნების განურჩევლად, ტფილისის გუბერნატორმა პოლიცმეისტერს აცნობა ჯეროვანის პასუხის მისაცემად.

✦ სათ.-აზ. ბანკის რწმუნებულის ბ-ნის მჭედლოვისაგან ბანკის რწმუნებულთა **კრებამ ბათომიდან შემდეგი დეპეშა მიიღო**. „როგორც ბანკის რწმუნებულს, ბათომის მსესხებლებმა მომმართეს თხოვნით, ვიშუამდგომლო ბანკის რწმუნებულთა წინაშე, რომ პირველი ნახევარ წლის შესატანი სარგებელი გადადებულ იქმნასო შემდეგისთვის; რადგან შეძლება არა მაქვს ეს თხოვნა რწმუნებულთა კრებას პირადად მოვახსენო, ვამოწმებ, რომ უკიდურესი მდგომარეობა გამოწვეულია სხვადასხვა ქარხნების დაკეტვით, ბათომის ნავსადგურის უმოქმედობით, განუწყვეტელის გაფიცვებით, რის გამოც ხალხი დიდს გაჭირებაშია. ფინანსთა სამინისტრო ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და ნებას დართავს ბანკს, შეღავათით მოექცეს მსესხებლებს. ეს გარემოება მაბედვინებს, ვიშუამდგომლო რწმუნებულთა კრების წინაშე, მიიღოს თხოვნა ბათომის მსესხებლებისა გარდასახადების ვადის გადადების შესახებ“. თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, ეს საკითხი განსახილველად გამგეობას გადავსცეთო. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

✦ **სადგური ხაშური.** 15 ივნისს სადგურის ბარგის გადამზიდველნი გაიფიცნენ. სადგურის უფროსმა ბარგის გადასატან-გადმოსატანად ჯარისკაცები მოიწვია.

✦ «ნოვოე ვრემიას» დეპეშით ატყობინებენ, რომ ერევანში პოლიციას **აღმოუჩენია 112 ფუთი თოფის წამალი.**

✦ გუშინ-წინ, 17 ივნისს, **ავლაბრელებს კრება ჰქონდათ** და ერთხმად დაადგინეს: მადლობა გამოუცხადონ ქალაქს პროგიმნაზიის დასაარსებლად 15 ათასის მანათის გადადებისთვის.

✦ **თერგის ოლქის ოსები და ქისტები** მეტად გულდასმით შესდგომიან თავის საჭიროებათა გამორკვევას. მართავენ სახალხო მიტინგებს, რომლებსაც ათასობით ესწრობიან.

✦ 18 ივნისიდან ადგილობრივ და აღმოსავლეთ ენათა უმცროსმა **ცენზორმა პ. ა. გოთუამ სამსახურს თავი დაანება.**

✦ ექსარხოსის განკარგულებით, **ბლაღოჩინი შოშიაშვილი,** რომელსაც სამღვდელოების დადგენილებისა გამო საქმეები აღარ მიიღო, ბლაღოჩინობიდან დათხოვნილ იქმნა. ბლაღოჩინად მის ადგილას დაინიშნა კუკის მისიონერთა ეკლესიის მღვდელი გოროდცევი.

✦ **კავკასიის ნამესტნიკის ნებართვით,** სიღნაღის მაზრის სოფ. სვეჩინოს ხუთს მოსახლეს თითოს 100 მან. სახელმწიფო შემწეობა მიეცათ.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნოვოროსიის **უნივერსიტეტში განთავისუფლებული სტიპენდია დაუნიშნა** კიევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტ დიმიტრი ფოცხვერიშვილს იმ პირობით, რომ ეს სტუდენტი ნოვოროსიის უნივერსიტეტში გადმოვიდეს.

✦ კავკასიის საცენზურო კომიტეტში ქართულ ენის ცენზორად **პეტრე მირიანაშვილი დაინიშნა,** რომელიც გუშინ კიდეც შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

✦ **სურამიდან გვწერენ:** მოაგარაკეთა რიცხვი მეტად მცირეა, რის გამოც სახლის პატრონები ძლიერ სწუხან. სურამს გაუჩნდნენ მეტოქეებად ქობულეთი, ბახმარო, ქვიშხეთი, სუმბათოვო, ბაკურიანი და სხვა მრავალი სოფლები.

✦ რადგანაც **საქართველოს სამხედრო გზის მოიჯარადრეს საიჯარო ვადა უთავდება,** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა სამმართველომ დანიშნა საჯარო ვაჭრობა ამ გზის იჯარით გასაცემად.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა სამმართველომ ნება დართო ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს სოფელ **მარდაში** (განჯის გუბერნია) **საფოსტო განყოფილების დაარსებისა.**

✦ **კავკასიის ნამესტნიკს ეცნობა,** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიწყნარა თხოვნა ინგლისელ მღვდლის თომა ლინტონისა ბაქოში ანგლიკანურ ეკლესიის დაარსების შესახებ.

✦ **ფარმაცევტების კრება დანიშნულია** ორშაბათს, 20 ივნისს, ალექსანდრეს ბაღში, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

✦ დღეს, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში, მოხდება **მორიგი კრება** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლო მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა.

✦ ორთაჭალის მებაღეებს შეუმოწმებიათ ის ზარალი, რომელიც მათთვის წარსულ კვირის ნიაღვრებს მიუყენებია, და აღმოჩენილა, რომ სულ 2,380 მანათის ზარალი მოსვლიათ. ნავტიკოვის ბაღს 100 მანათისა, მანთაშევისას 200 მან., კუკუჯასოვისას 250 მან., თამამშევისას 150 მან., მანთაშევის მეორე ბაღს 350 მან., მირზოევისას 280 მან., ვართანოვისას 550 მან., გლუხოვსკისას 150 მან., ზუბალაშვილებისას 150 მან. და ნავტიკოვის მეორე ბაღს 200 მან.

✦ სოფელ კურდღელაურში (თელავის მაზრა) 12 ივნისს, კვირობა დღეს, შემდეგი ამბავი მომხდარა: ეკკლესიის ეზოში ლევან კობახიძისათვის ერთ გლეხს ვართანაშვილს შეურაცხყოფა მიუყენებია. კობახიძეს სახლიდან ორ ლულიანი თოფი გამოუტანია და ვართანაშვილისათვის უსვრია. ვართანაშვილი დაჭრილა. ერთ გლეხს, გვარად გურაზანიძეს, კობახიძისათვის თოფი უნდა წაერთმია, მაგრამ გაჯავრებულ კობახიძეს იგი იქვე მოუკლავს. აზვირთებული ხალხი მივარდნია კობახიძეს და ისე უცემია ქვებითა და კეტებით, რომ ცოტა ხნის შემდეგ მომკვდარა.

✦ როგორც გვატყობინებენ, ყარსის რკინის გზის ხრამის ხიდთან უნახავთ გვამი ბორჩალოს მაზრის მცხოვრების ალი-ბაირამ-ოღლისა. გვამს ოცი ჭრილობა თურმე ჰქონია ხანჯლისა. ამის გამო ლიანდაგის მუშებს, თათრებს, მუშაობაზე ხელი აუღიათ და სადღაც წასულან.

✦ რადგანაც იმერეთის სამღვდელოებას თავის ნებით არ შემოაქვს **„სასულიერო უწყების“ ფული,** 1200 მ., ამ ჟურნალის რედაქტორის ვოსტორგოვის მოადგილე შუამდგომლობს ქართლ-კახეთის სინოდალურ კონტორის წინაშე, რომ ეს ფული სამღვდელოებას კონტორამ დაუჭიროს.

ქუთაისის ცხოვრება

ა. წულუკიძის დასაფლავება.

წარსული კვირა ქუთათურთათვის თუმცა სამგლოვიარო, მაგრამ უმაგალითო დღე იყო. ამ დღეს დანიშნული იყო უდროვოდ გარდაცვალებულის **ალექსანდრე წულუკიძის** გასვენება. ბუნებამ ალექსანდრეს არ არგუნა შრომისათვის იმდენად საჭირო ფიზიკური ძალ-ღონე, რამდენადაც მან იგი დააჯილდოვა სულის სიძლიერითა და გონების სიმახვილით. გონების განვითარებით გატაცებული, იგი სხეულის საფუფუნოდ ვეღარ იცლიდა და, ულმობელის ჭლექით შეპყრობილი, მისი მსხვერპლი გახდა.

დილა-ადრიან ყველა რიონს გაღმა, გეგუთის ქუჩაზე მიეშურებოდა საამდროვო მოღვაწის გამოსათხოვრად. ყველას ეტყობოდა, რომ ეს გამოთხოვება უკანასკნელი ნაძალადევი პატივისცემა არ იყო. იგი გულწრფელი, გულის სიღრმიდან ამონახეთქი მოთქმა იყო მეგობარ-ამხანაგებისა, განსვენებულის იდეიურად მონათესავე მშრომელი ხალხისა, ნათესავ-ნაცნობებისა.

გულითადი პატივისცემა ამ გარეგნულ, პროცესიის ფორმალურ მხარეშიაც გამოიხატა. განსვენებულის ოჯახში დილა-ადრიან აუარებელმა ხალხმა იწყო მისვლა. ვეებერთელა ეზო, ახლომახლო, გეგუთის და ორპირის ქუჩები, სულ ხალხით გაივსო. ეზოში დადგმულ კუბოს 62 გვირგვინი ამკობდა. გვირგვინების უმრავლესობა სხვადასხვა ქალაქების და სოფლის პარტიის ორგანიზაციებიდან იყო, წითელ ლენტებით შემკობილი და ზედ შესაფერის წარწერებით. 9 საათზე ჯერ კიდევ ისევ ეზოში დაიწყეს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და კერძო პირებისაგან მოსულ ტელეგრამების კითხვა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა განსვენებულის ერთ გულითად ამხანაგ-მეგობრის ბუდუ მდივანის სიტყვა, რომელიც გამოგზავნილი იყო ქუთაისის ციხიდან:

„ხშირად ამხანაგური ხუმრობით გვითქვამს ერთი მეორისათვის: „ბიჭო, შენ რომ მოკვდები, რა რჩეს ვიტყვი, რომ იცოდე“! ვაი, რომ ეს უბრალო ხუმრობა, მწარე და მხამიან სინამდვილედ გადაიქცა. ვაი, რომ შემხვდა წილად ამ საშინელი პირობის ასრულება! გული მისკდება, ბრაზი მერევა, რომ პირადად არ შემიძლია წარვდგე შენი ცხედრის წინაშე და მწვავე ტკივილებით აღსავსე გული მოვიოხო. რკინით შეჭედილ ქვა-ყორეში, ოთხ კედელს შუა ჩამწყვდეული, გულმოკლული შენი მეგობარი ვერ მოგეხვევი და დაობლებულ ჩემს გულში დანთებულ ცეცხლით ვერ გაგათბობ შენ ცივ და ზნელ სამარეს! ჯოჯოხეთური ტანჯვაა ეს ტანჯვა! ცრემლები მახრჩობს, მაგრამ გული ვერ ალბობს ვერც ქვას და ვერც რკინას. ვგდივარ ოთხ კედელშუა, ამ ნახევრად სამარეში, მაშინ როდესაც შენ მიდიხარ სამარეში! მინდა შევყვირო, შევბღავლო მთელ ქვეყანას: „მაჩვენეთ ჩემი საშა, ერთხელ კიდევ ჩამიკართ გულში ბავშობიდან თანშეზრდილი სათუთესი ჩემი მეგობარი“! მაგრამ მტრის ბასრ ბრჭყალებში ჩავარდნილს გულქვა მტერი გესლიან ღიმილით მიცქერის. ვაი, რომ დღესვე არ ძალგვიძს დავატეხოთ თავზე საშინელი ძალები ხალხის რისხვისა, რომ უზრუნველ ღიმილის ნაცვლად, მათ სახეზე ძრწოლა და ტანჯვა აღბეჭდოს!.. მე ვერ ვპოულობ ახლა ძალას დავახასიათო შენი მკვირცხლი გონება, უშრეტი ზნეობა და თავგანწირული შენი საამდროვო მისწრაფებები. შენ მუდამ დღე შეუწყვეტლივ მედგრად იბრძოდი, იბრძოდი თავდაუზოგველად და, აჰა, შესწყდა შენი მჩქეფარე სიცოცხლე, ვერ აიტანა შენმა სუსტმა და დაავადმყოფებულმა სხეულმა გამუდმებული, თავგანწირული ბრძოლა. შენ ნახევრად მკვდარი კიდევ გაიძახოდი: „ჩვენ გავიმარჯვებთო“. დიაღ, მეგობარო, ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენ დავლეწთ და დავამსხვრევთ ყველა ჩვენს მტრებს და აღვასრულებთ შენს უკანასკნელ ანდერძს“.

ამ სიტყვამ სუყველა მწარე ცრემლით აატირა. იგივე სიტყვა ხონშიაც იქმნა წაკითხული და ისეთივე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. შემდეგ ერთი სიტყვა ეზოშივე ბათუმის წარმომადგენელმა (ებრაელმა) სთქვა რუსულად და დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა დღევანდელ მოძრაობაში. გარკვეულად და ხმამაღლა ნათქვამმა ამ სიტყვამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

10 საათზე პროცესია მშვიდობიანად და წესიერების დაცვით გაემართა ორპირის ქუჩით ხონისკენ. დიდძალი, 15,000 კაცი და ქალი მიიმართებოდა ორპირის ფართო და პირდაპირ ქუჩაზე. მაგრამ ქალაქის განაპირას რომ მივიდნენ, მიცვალებული დაასვენეს და აქაც სიტყვების წარმოთქმა დაიწყეს. კოკის პირული წვიმა დაუშვა. აქ წარმოითქვა სამი სიტყვა და შემდეგ წითელ ბაირაღ ამართული პროცესია გურიახონისკენ გაემართა. მიუხედავად წვიმა-ტალახისა, ქუთაისიდან ორი-ათასამდე ხალხი მაინც გაჰყვა პროცესიას ხონში. უმეტესობა სულ ქვეითად მიდიოდა და კუბო სულ ხელით ჩაიტანეს საფლავამდე, სამოცამდე ეტლი და დილეჟნები იყო. გზადაგზა სოფლებიდან: მაღლაკში, გუბრსა და კუხში აუარებელი ხალხი წითელი ბაირაღებით ეგებებოდა პროცესიას, მარსელიოზას და სხვა მისგვარ ლექსების მღერით მიდიოდნენ. თან ყოველ დასვენებაზე, სოფლებში სიტყვებს ამბობდნენ. საღამოს 6 საათზე ჩავედით ხონში, სადაც, თუმცა კიდევ წვიმამ მოგვისწრო, მაგრამ 6—7,000 კაცი მაინც დაესწრო დასაფლავებას. აქაც მრავალი სიტყვა წარმოითქვა.

ის. —არიძე.

სადღეისო

კამპანია

(ამბავი)

— აბა, ბიჭებო, საქმეს შევუდგეთ!—უთხრა ფიდომ თავისს ამხანაგებს და მიიხედ-მოიხედა.

ეს მოხდა ქალაქის ერთ მიყრუებულ უბნის ბნელსა და ნესტიან სარდაფში.

ბინდ-ბუნდი იყო. ზაფხულის გამაცოცხლებელი სიო ჰქროდა და მცხოვრებლებს სასეირნოდ იწვევდა, მაგრამ მოქალაქეთაგანი გარედ არავინ გამოდიოდა. ყველა სახლში ჩაკეტილიყო და ღრმა ფიქრს მისცემოდა.

ქუჩებში მარტო ხიშტიანი სალდათები და გაბოროტებული კაზაკები მოსჩანდნენ.

ქალაქი გაყუცული იყო.

სევდასა და მწუხარებას მოეცვა იგი. სიცოცხლე გამწარებულიყო, მცხოვრებლები დადარდიანებულიყვნენ.

მთელი ქალაქი სასაფლაოს, ნაოხარსა ჰგავდა და, რაღაც გამოურკვეველ მომავლის მოამლოდინე, გალიაში გამომწყვდეულ ლომივით, გულ-ჩათხრობილი ბუბუნებდა, ოხრავდა, შფოთავდა...

— დრო არის-მეთქი, საქმეს შევუდგეთ!—ახლა კი ბრძანების კილოთი გაიმეორა ფიდომ და მორგვივით მსხვილი ხელი მის წინ მდგარ მაგიდას დაჰკრა.

მაგიდაზე დალაგებულმა საინ-ჭიქებმა ზრიალი დაიწყეს, თუნუქის პატარა ლამპამ ცახცახი მორთო და ჩასაქრობად მოემზადა.

— რა იყო, შე მხეცო! ვეღარ მოასწრებ?—შემოუტია მეორე კუთხიდან პავლემ და ბარბაცით სტოლისაკენ წამოვიდა.

— ეს... ღმერთმა აცხონოს მამაშენი, რომ აგრეთი გულ-ფიცხი გაუჩენიხარ!—ენის მოკიდებითა სთქვა პავლემ, ჯამზე დასხმული ღვინო მოიყუდა და ხარივით შესვა.

— ეი, მაშკა! აღე, შენც დალიე! ეს თავმკვდარი, როგორ გამოიბრუჟა და...—ჩაიხიხინა პავლემ და ფეხ-მოტეხილ სკამზე დაეშვა.

ტახტზე წამოწოლილი—ქუჩის დედაკაცი მაშკა—მატლივით შეინძრა, რაღაც უწმაწური სიტყვა წამოისროლა და მხარი იცვალა.

— ამას რაღა ღმერთი გაუწყრა!—[illegible] სთქვა ფიდომ და მაშკას ტახტის წინ ჭილობზე გაშხლართულ თადოს ფეხი წაჰკრა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ამ ბიჭების მყრალი ბინა ორმოს დაემსგავსა. სანთლის შუქი ძლივს უწვდა მის აყროლებულ კუთხეებს და ნესტისაგან ატირებულ კედლებს.

— გააღვიძე, ეგ რჯულ-ძაღლი, მალე დასწეროს, თორემ მოვკლავ... ზეგისათვის გროში აღარ გვექნება!—უბრძანა ფიდომ პავლეს და თადოზე უჩვენა.

პავლე ბარბაცით წამოდგა, წაავლო თადოს ფეხში ხელი და აითრია.

ლანძღვა-გინებით წამოდგა თადო, თვალები მოიფშვნიტა და, გულგადაღეღილი მაშკა რომ დაინახა, მკერდზე უჩქმიტა. ქალი წივილ-კივილით ზეზე წამოვარდა.

ერთის წუთის შემდეგ, მთელი „კამპანია“ გამხიარულდა, მათი მყრალი ბინა ახმაურდა.

ჭიქებიც დატრიალდა. მაშკა ერთის კალთიდან მეორეში გადადიოდა, ოხუნჯობდა, უწმაწურ სიტყვებს გაიძახოდა.

აქ გამეფებულიყო მსუნაგობა, ლოთ-მუცლობა და გარყვნილება. მაშკა მისი გვირგვინი იყო.

— კარგი, ნუღარ ხეთქავ!—შესძახა ფიდომ თადოს, მკლავი დაუჭირა, პირთან მიტანილი ჭიქა წაართვა და თვალები დაუბრიალა.

— შენი საქმე, შე ყურუმსაღო, ღვინის სმა კი არა, წერაა, აიღე კალამი და ახლავე დასწერე... ახლავე მისწერე თადეოზს—თორმეტი თუმანი მოამზადოს, თორემ... ანდერძს აგიგებთ-თქო!..—ბრძანება გასცა ფიდომ და პავლეს საწერ-კალამი მოატანინა...

თადომ ულვაშებში ჩაიცინა, მედიდურად გადახედა ამხანაგებს და თვალით მაშკაზე უჩვენა.

— მთვრალია, გახეთქილი, მაგას რა ესმის?—უთხრა პავლემ და მერე მაშკას მიუბრუნდა.

— მაშკა, სტუპაი სპით!

მაშკა უსიტყვოდ დაემორჩილა პავლეს ბრძანებას. წამოდგა, წაბარბაცდა, ტახტამდის ვეღარ მიაღწია და ტახტის წინ ჭილობზე პირქვე დაემხო...

ფიდომ სტოლი მიალაგ-მოალაგა, საწერ-კალამი მიუმარჯვა და თადოს დიდხანს დააშტერდა. ეტყობოდა, რომ ჩვეულებრივ საქმეს უნდა შესდგომოდნენ. თადომ უსიტყვოდ კალამი ხელში აიღო. ქაღალდი თავისკენ მისწია და წერას შეუდგა.

პირველი სიტყვა, რომელიც იმან ქაღალდზე გამოხატა, იყო: **„კომიტეტისაგან“.**

პავლე გაიღრიჯა და თვალები მილულა. ფიდომ წარბები შეიკრა, თადომ კი განაგრძო:

„თადეოზ, გიბრძანებთ ყველა ჩვენი მომხრენი კომიტეტისანი, რომ ასს ოცი მანათი (120 მანათი) უნდა მოგვცე ჩვენის საჭიროების მოსახმარებლად. მაგი ფული მოიტანე საყდრის გალავანში. ვარატაში რომ შეხვალ, მარცხნივ მხარესა კაკლის ხე სდგას, იმ კაკლის ხის ჩრდილოს მხარესა გორიზონტალნი ლინია რომ გავავლოთ ოთხ საჟენზე, ორი ქვა გდია ერთი დიდი, მეორე პატარა. იმ პატარა ქვას ამოჭრილი აქვს ზემოდამ ზედ შუა ალაგას ღრმათა, შიგ ამ ღირკაში ჩადევი და შიგვე სიპი ქვა და ის ზედვე დახურე, ხოლო ფული ტრიაპკაში იყვეს გახვეული, ანუ ქაღალდში. მხოლოდ ხუთშაბათისათვის მზად იყვეს, ესე—იგი 16 თიბათვეს 1905 წ. გიცხადებთ, უკეთუ ჩვენ მოთხოვნილებას არ აგვისრულებ თავის დროზედ, იცოდე ჩვენ თითონ მოვალთ და ჩვენებურ წეს-რიგს აგიგებთ, ისე რომ თქვენც დაგხოცავთ ყველას ერთობ და სახლ-კარიც აფეთქებული იქნება,—ანუ

ჭირთა საზოგადო გადასახადი. ეს გადასახადი ყველა მოქალაქეში შეძლების მიხედვით უნდა იყოს განაწილებული.

14. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება თვითონ პირადად ან თავის წარმომადგენელთა საშუალებით მიიღოს მონაწილეობა გადასახადის შემოღებაში,—თავისუფლად დაამტკიცოს ეს გადასახადი, თვალ-ყური ადევნოს შემოსულ ფულის დახარჯვას, განსაზღვროს გადასახადის წყარო და ხასიათი, აკრების წესი და ვადა.

15. საზოგადოებას უფლება აქვს ყოველ თანამდებობის პირს სამსახურის ანგარიში მოსთხოვოს.

16. ყოველი საზოგადოება, რომელშიაც არ არის უფლებათა უზრუნველ-საყოფად საჭირო გარანტიები და სახელმწიფო უფლებათა განაწილება განსაზღვრული, მოკლებულია კონსტიტუციას.

17. რაკი საკუთრების უფლება დაურღვეველი და ხელუხლებელია, ამიტომ კერძო საკუთრება არავის არ ჩამოერთმევა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კანონის-მიერ გამორკვეული საზოგადოების სარგებლობა ამას მოითხოვს და მხოლოდ სამართლიან და წინდაწინვე გადაჭრილ სასყიდლის მიცემით.

ერთის თვალის გადავლებითაც კი დარწმუნდება მკითხველი, რომ ამ შესანიშნავ დოკუმენტის ყოველი მუხლი უარყოფაა ძველებურ წყობილებისა. პირველი მუხლი ამბობს,—თავისუფლება ადამიანის განუშორებელი უფლებაო. ადამიანი არამც თუ იბადება თავისუფალი, არამედ ის მთელ თავის სიცოცხლეში ამ თავისუფლებას ატარებსო.

ავიღოთ მეორე მუხლი. იგი აცხადებს: ყოველ პოლიტიკურ შეკავშირების მიზანია დაცვა ადამიანის ბუნებრივ და განუყრელ უფლებებისო. ძველი წყობილება კი, პირიქით, სწორედ ხალხის ყოველ უფლების უარყოფაზე იყო აგებული. აქ მხოლოდ ხალხის მოვალეობაზე ლაპარაკობდენ. ქვეშევრდომის მოვალეობას ქადაგებდა ეკლესია, მასვე ითხოვდა ყოველი მოხელე. ამავე დროს კი ოცი მილიონ ხალხის შეძლებას ფლანგავდა ერთი პატარა წრე, თითქო ეს ოცი მილიონი ხალხი ამ წრის გარყვნილების მოთხოვნილებისათვის საშუალების მოსაპოვებლად ყოფილიყოს გაჩენილი.

ამ მეორე მუხლში ჩამოთვლილია უფლებები. მეორე უფლებად ნახსენებია საკუთრება. რასაკვირველია, ამ უფლების შეტანა ნათლად გვიჩვენებს, თუ ვინ იყვნენ დეკლარაციის ავტორები. მაგრამ წარსულთან შედარებით ამ უფლებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საკმარისია გავიხსენოთ ამ მხრით თვითნებობა წინანდელ მთავრობისა. ლუი მე-XIV-ს დროს გამოაცხადეს, რომ მეფე თავის ქვეშევრდომთა მთელი შეძლების მესაკუთრე არისო და, თუ ვინმე რამეს ფლობს, მხოლოდ—მეფის უმაღლესი თანხმობით და წყალობითო. ამ უტიფარ შეხედულების თანახმად ხალხს აწერდნენ განუსაზღვრელ გადასახადებს, ძარცვავდნენ და ჰყვლეფდნენ.

მესამე უფლებაა—მოქალაქის პიროვნების უზრუნველყოფა. საფრანგეთში 1789 წლამდე არავინ იცოდა, თუ რა არის პიროვნების უზრუნველყოფა. და აქ პიროვნების თავისუფლების შეხუთვა ხდებოდა არა კერძო პირთაგან, არამედ თვით მთავრობისაგან, რომელიც განუკითხავად ახრჩობდა, სტანჯავდა და ალპობდა სატუსაღოებში ყველა იმათ, ვინც მისთვის რაიმე მხრით უხერხული იყო, ვინც მის თვითნებობას არ ემორჩილებოდა და არ ამართლებდა.

მეოთხე უფლებაა—ძალმომრეობის წინააღმდეგობა, რომ მოქალაქემ ძალით დაიცვას თავისი განუყრელი თავისუფლება...

„დეკლარაციის“ მესამე მუხლი ძირითად დემოკრატიული პრინციპის გამომხატველია. მეფეები ამბობდენ:—ჩვენ ვმეფობთ და ვბრძანებლობთ „წყალობითა ღვთისათაო“, თვით ზეცამ ჩაგვაბარა თქვენი მართვა-გამგეობის საქმეო. ლაპარაკი არ უნდა,—ამ პრინციპს არავითარი საფუძველი არა აქვს, მაგრამ ის მაინც საინტერესოა, როგორც თვითმპყრობელობის დასაბუთება, რომელიც ხალხს გვერდს უქცევს. სულ წინააღმდეგი პრინციპი აღიარა საფრანგეთის რესპუბლიკამ. ერის შეერთებული ნება არის მხოლოდ ერთად-ერთი უმაღლესი ძალა, ხალხის სუვერენიტენტი მისი განუშორებელი უფლებაა. ამიტომ ამ უფლების ერთის კაცისთვის გადაცემა უზურპაციაა,—ძალმომრეობა. ეს მუხლი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორის ხასიათის უნდა იყოს მთავრობა, რომ იმას ხალხის ნდობა ჰქონდეს.

მეოთხე მუხლი განმარტავს, თუ რას ნიშნავს პიროვნების თავისუფლება საზოგადოებაში.

მეხუთე მუხლი აცხადებს კანონის შეურყევლობას და მის ძალას. მხოლოდ კანონის მიხედვით შეიძლება ამა თუ იმ საქციელის დაფასება.

მეექვსე მუხლი არკვევს, რომ კანონი ორიოდ კერძო ადამიანის სურვილი როდია,—კანონი მთელის ხალხის ნების გამოხატვაა. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა კანონის შექმნაში. საფრანგეთის რევოლუციის თეორეტიკებს და მათში ჟან-ჟაკ რუსოს სწამდათ, რომ ხალხი პირდაპირ, დამოუკიდებლად, უნდა ჰქმნიდეს კანონებს. რუსო ამბობს: „ყოველი კანონი, რომელიც მთელის ხალხისაგან არაა დამტკიცებული,—მისაღები არ არის და კანონად ვერ მიიღებაო“. აქაც ეს აზრია გამოთქმული. ყოველ მოქალაქის უფლებას შეადგენს პირდაპირ მონაწილეობის მიღება, კანონმდებლობაში და მხოლოდ მოქალაქის ნებაზეა დამოკიდებული, ეს უფლება მან, პრაქტიკულის მიზნით, დროებით წარმომადგენელს გადასცეს.

კანონი ხალხის ნების გამომხატველია და მისი დამრღვევი ისჯება, მაგრამ დამსჯელი არის მთავრობა, და აქ კი შესაძლებელია ძალმომრეობა, პიროვნების ღირსების შელახვა და შეუფერებელი შევიწროება. და, აი, რომ ასეთ ძალადობას ადგილი არ ჰქონდეს, რომ მოქალაქე უზრუნველყოფილ იქმნას ძალმომრეობისაგან, აქ არის ჩართული მე-7, 8 და მე-9 მუხლები, რომელნიც გარკვევით ამბობენ, თუ რა ფარგალში უნდა იქმნას ჩაყენებული კანონის განხორციელება. თქმა არ უნდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მუხლებს იქ, სადაც მთავრობის თვითნებობა განუსაზღვრელია.

მეათე მუხლი აცხადებს სინიდისის და სარწმუნოების თავისუფლებას. ამასაც განმარტება არ სჭირია. მის დასასაბუთებლად საკმარისია გავიხსენოთ ინკვიზიციის საპყრობილეები და კოცონები, რომელთაც შთანთქეს არა ერთი და ორი თავისუფალი მოაზრე და კაცობრიობის კეთილისმყოფელი.

მეთერთმეტე მუხლი აცხადებს აზრის თავისუფლებას. ძველი რეჟიმისათვის ბეჭდვის თავისუფლება წარმოუდგენელი იყო, ამის მოთავსება გამეფებულ წყობილებასა და წესებში ყოვლად შეუძლებელია. ამას მშვენივრად ახასიათებს ფიგაროს უკვდავი სიტყვები: „მე წერა შემიძლიან: თუ არ ვილაპარაკებ მთავრობაზე, სარწმუნოებაზე, პოლიტიკაზე, ზნეობაზე, არ ვილაპარაკებ თანამდებობის კაცზე, არც ნდობით მოსილ საზოგადოებებზე, არც ოპერაზე და სხვა წარმოდგენებზე, არც რომელსამე პიროვნებაზე, რომელსაც რაიმე საქმეებთან დამოკიდებულება აქვს, და ნება მექნება თავისუფლად ვბეჭდო ჩემი ნაწერები ორის ან სამის ცენზორის ზედამხედველობით“. სწორედ ეს მდგომარეობა უარჰყო „დეკლარაციამ“. დემოკრატია და ბეჭდვის შეხუთვა, ცენზურა, შეუთანხმებელი მცნებანია. ტოკვილი თავის „დემოკრატია ამერიკაში“ ამბობს: „იმ ქვეყანაში, სადაც ცხადად დამყარებულია ხალხის უმაღლესი ძალა, სუვერენიტეტი, ცენზურა არამც თუ საშიშარია, არამედ იგი წარმოადგენს უმაღლეს უგუნურებას.

როცა თვითოეულს მინიჭებული აქვს უფლება საზოგადოების მმართვისა, იმავე დროს უნდა გვწამდეს, რომ მას თანამედროვეთა ამაღელვებელ სხვადასხვა აზრების გარჩევის ნიჭიცა აქვს და სხვადასხვა ფაქტების მნიშვნელობის გამოკვლევითა და მათის ცოდნით შეუძლიან იხელმძღვანელოს.

ამნაირად, ხალხის თვითმპყრობელობა და ბეჭდვის თავისუფლება განუყრელად არიან შეკავშირებულნი. სამაგიეროდ, ცენზურა და საყოველთაო კენჭის ყრის უფლება—ორი ისეთი რამეა, რომელნიც ძირითადად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. და არც შეიძლება იმათ ერთად რომელიმე ხალხის პოლიტიკურ დაწესებულებაში ხანგრძლივად გასძლონ. შეერთებულ შტატებში 12 მილიონ მცხოვრებთა შორის ჯერ არ გამოჩენილა ისეთი ადამიანი, რომელსაც გაებედნა და მწერლობის თავისუფლების შეზღუდვა მოეთხოვნა“.

მეთორმეტე მუხლში აღნიშნულია ის გარემოება, რომ სახელმწიფოში საჭიროა ისეთი მთავრობა, რომელიც ასრულებს ხალხის სურვილებს. ხოლო მას შენახვა უნდა. აქედან იბადება გადასახადების საჭიროება. ბიუჯეტის კითხვა ძირითადი კითხვაა სახელმწიფოს წყობილებაში. ხალხი არ გაიღებს იმ გადასახადებს, რომელიც მას მავნედ მიაჩნია, ხალხი არ მისცემს გადასახადებს იმ მთავრობას, რომელსაც არ ენდობა. არა ერთმა და ორმა მეფემ დახარა თავი ამ პრინციპის წინაშე, არა ერთი და ორი მთავრობა დამარცხდა ამ პრინციპთან ბრძოლაში. მე-13 და მე-14 მუხლები სწორედ ამ კითხვას არკვევს და, უნდა ვთქვათ, არკვევს აუაღრესი დემოკრატიულ ხასიათით. აქ, სხვათაშორის, აღიარებულია შემოსავლის კვალობაზე გადასახადების გაწერის პრინციპი. მაგრამ ბურჟუაზიის გაუმაძღრობის წყალობით, ეს პრინციპი საფრანგეთში ჯერაც ვერ განხორციელებულა.

მე-15 მუხლი აღნიშნავს, რომ თანამდებობის კაცი პასუხის მგებელია ხალხის წინაშე. ეს ძირითად მომდინარეობს დემოკრატიული რეჟიმის პრინციპისაგან. მთავრობა ხალხის მოსამსახურეა, ის ხალხის ინტერესებს იცავს. ცხადია, ხალხს შეუძლია გაარჩიოს და დააფასოს,—როგორია ეს მისი სამსახური.

მეთექვსმეტე მუხლი შეიცავს გაფრთხილებას: იცოდეთ, სადაც პიროვნების უფლება უზრუნველ ყოფილი არ არის, იქ კონსტიტუციაც არაა, იქ თვითნებობას საზღვარი არა აქვსო. დეკლარაციაში არა აღნიშნული ყრილობისა, გაფიცვისა და კავშირების უფლებები. გაფიცვისა, ყრილობისა და კოალიციების თავისუფლება მოპოვებულია პროლეტარიატის პირდაპირის ბრძოლით. ხოლო 1789 წელს, პროლეტარიატს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას, ჩვენ ვერ ვხედავთ.

ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურის მხრივ დეკლარაცია დემოკრატიულ უძვირფასესის პრინციპების გამომხატველია. ის სავსებით თუ არა, უმთავრესად მაინც საფუძვლად დაედო ევროპის კონსტიტუციებსა და უფლებრივ ქვეყნებში ფესვი გაიდგა მთელის ხალხის პსიხოლოგიაში, ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის ეს დეკლარაცია სანატრელი და გამაცოცხლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ თუ გაბედავ ჩვენთაგანის დაჭერასა და სამართალში მიცემასა, იცოდე, რომ შენც კარგი დღე არ მოგხვდება შემდეგ ჩვენი ამხანაგებისაგან. ჩვენი წეს-რიგი და სამართალი შენთვის ზემო ნაწერი იქნება. გიჯობს ჩვენი მოთხოვნა შეასრულო და კრინტი ხმა არავისთან არ დასძრა“ *).

ამ წერილმა საერთო აღტაცება გამოიწვია. მაგრამ არ იცოდნენ, ქვეშ რა მოეწერათ. ბევრი ყაყანის შემდეგ, ჯოხი ისევ სოციალ-დემოკრატებზე გადატეხეს და წითელის კარანდაშით მოაწერეს:

„საერთო ჯგუფი სოციალ-დემოკრატისა“ *).

თადამ წერილი ერთხელ კიდევ გადაიკითხა და მერე ფიდოს გადასცა. იმანაც კონვერტში ჩადო, სამკაპიკიანი მარკა დააკრა და უბეში ჩაიდო...

ამის შემდეგ ისევ საერთო მხიარულებას შეუდგნენ.

— ეს ღმერთმა გაუმარჯოს, ჯეელებო, ვინც წყალი აამღვრია,—წამოიძახა ხმა მაღლა ფიდომ და ჭიქა მაღლა აღმართა.

— ქულიკებს გაუმარჯოს!—მოესმათ ამ დროს სარკმლიდან ნაცნობ გოროდოვოის ხმა, რომელსაც სარკმელში თავი ჩამოეყო და სავსე ჭიქებს ქორივით დასცქეროდა.

— აა, შენა ხარ, ფედკა!—მოდი კაცო, მოდი—მხიარულად მიეგებნენ ამხანაგები ფედკას და მოიპატიჟეს.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს!—აღტაცებით მიიღეს სარდაფში შემოსული ფედკა და ყველამ ჭიქა გაუწოდა.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ.—უპასუხებდა ფედკაც, და ჭიქა-ჭიქაზე გადაჰყავდა.

— ვსტიფაი, მაშკა, ფედკა პრიშოლ!—დაუყვირა პავლემ მაშკას და ზეზე წამოაყენა.

— ი... მაშკა ზდეს?!—ვითომდა გაიკვირვა გოროდოვოიმ და მაგიდას მოუჯდა.

ცოტახნის შემდეგ ისევ ლოთი-ფოთიური სმა გაიმართა.

—

ვინ იყვნენ ეს ფიდო, პავლე, თადა—არავინ იცოდა, გარდა ფეტკასი, რომელიც მათთან ხშირად ქეიფობდა ხოლმე.

ამ პოლიციელის სიტყვით, ისინი კარგი ბიჭები იყვნენ. ღმერთმა იცის! ახლა ისე აირია ქვეყანა, რომ ძაღლი პატრონს ველარ იცნობს. ტბა აიმღვრა და ყველა ნადირალი მოიტივტივა.

ჯერ იქეიფონ!..

ია ეკალაძე

დღევანდელი საჭიროებანი

მინისტრთა საბჭოში გაცხარებული მუშაობაა. გაზეთების აზრით, სექტემბრამდე მოწვეულ იქმნებიან ხალხის წარმომადგენელნი. ამის გამო ივნისშივე მოელიან შესაფერს სახელმწიფო აქტს. მანამდის კი ყველა მოსამზადებელი მუშაობა საბჭოში დასრულებულ უნდა იქმნეს.

ჩვენთვის ჯერ ცხადი არ არის, თუ სახელმწიფოს განახლება-გადახალისებას რა კანონები დაედება სარჩულად. ჯერ არ ვიცით, ხალხის წარმომადგენელთა კრება რა უფლებით შეიმოსება, ან სახელმწიფო საბჭოს რა ფუნქცია მიენიჭება. ეს კი ცხადია ჩვენთვის, რომ ხალხის წარმომადგენლობა იმ საფუძველზედაც რომ დამყარდეს, როგორც ეს სლავიანოფილებს უნდოდათ, მაინც ვერ შეურიგდება ადმინისტრაციის ალვირწახსნილობას და მის მიერ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შევიწროება-შეკვეცას.

ისიც კარგად გვესმის, რომ სანამ მწერლობა საცენზურო მუხრუჭში იქაჩება, სანამ სინიდისი და აზრი იდევნება, სანამ იდეალისადმი ტრფიალი პოლიტიკურ დანაშაულობად ირიცხება, ქვეყანა საარჩევნო საქმისათვის მომზადებას ვერ შესძლებს. თუ მართლა არჩევანები სექტემბრამდე უნდა მოხდეს, ახლავე უნდა მზადება, ახლავე უნდა თადარიგი. საჭიროა, რომ შეგნებულს ელემენტებს ახლავე მიენიჭოს თავისუფალი გზა ხალხის გულისაკენ... საჭიროა, ხალხს ახლავე გარკვეული ჰქონდეს საარჩევნო უფლების ძალა და აზრი, მისი დიდი მნიშვნელობა.

ხალხმა იცის მხოლოდ, რომ მოქალაქობრივი უფლება ესაჭიროება, რომ მის გულის ნადებსა და მისწრაფებასაც თავისუფალი გზა უნდა გაეხსნას, მაგრამ მისთვის გაურკვეველია, რაში უნდა მოიხმაროს ეს უფლება, როგორ გამოიყენოს იგი საქვეყნო მართვა-გამგეობისათვის, რას მიაქციოს ყურადღება, რა დააკანონოს და რა დაჰგმოს ამ გართულებულ ბიუროკრატიულ ობობას ქსელივით გახლართულ წესწყობილებაში. რა სისტემა უნდა შემოიღოს ხარჯთ-აღრიცხვისა, ხარჯების გაწერისა, როგორ მოაწესრიგოს კონტროლი, რა დამოკიდებულება და განწყობილება დაამყაროს სახელმწიფოს სხვადასხვა ერთა შორის, როგორ მოარიგოს მათი განსაკუთრებული მოთხოვნილება-საჭიროებანი, რა ყალიბში ჩააყენოს სასკოლო საქმე, როგორ შემოფარგლოს ეკლესიის უფლება და დანიშნულება, რა დაუდოს სარჩულად ხალხის შეიარაღებასა და ჯარში გაწვევას, როგორი განწყობილება განაწესოს სხვადასხვა წოდებათა შორის, როგორს პოლიტიკას დაადგეს გარეშე საქმეებში, სამრეწველო სამეურნეო საკითხებს როგორ ჩაუდგეს კვალში და ათასი სხვა...

ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ შეგნებულს ელემენტებს ახლავე გზა ხსნილი ჰქონდეთ საკითხების თავისუფალის განმარტებისა, კრებებისა და სხ.: საჭიროა წიგნაკები, ფურცლები, ცოცხალი საუბარი ხალხთან, ლიტერატურაში აზრთა გაზიარება და სხ. ამისთვის კი უპირველესად საჭიროა: ცენზურის მიერ საუკუნეებით აგებული კედლები დაინგრეს, რომ მწერლობამაც შესძლოს თავისუფალი ხმა მიაწვდინოს ხალხს...

საჭიროა ძირიან-ფესვიანად აღმოიფხვრეს ის ძალმომრეობა ადმინისტრაციისა, რის მაგალითიც დღესაც კი, როდესაც პეტერგოფში მეფის წინ წამდგარი იყო ერობათა დეპუტაცია, პეტერბურგში მასწავლებელთა და ხელოსანთა კრებები აკრძალეს და დამსწრენი თავხედურად გაჰფანტეს. განა 18 თებერვალს გამოცემული მეფის ბრძანება სამინისტროს მიმართ არ აკანონებდა ამისთანა კრებებს?!.

მაგრამ ბიუროკრატია და ადმინისტრაცია ძველს ტრადეციებს ვერ ჩამოსცილებია, ძველებურს ბატონობასა და პარპაშობას ვერ შეჰლევია...

დრო არის, დრო!.. (რ. ს.).

ვლ. უმანსკი.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

(17 ივნისი)

კრება დაიწყო 8 საათზე. თავმჯდომარემ წაიკითხა ბათომიდან მოსული დეპეშა, რომელიც დღეს ჩვენ ახალ ამბებში გვაქვს დაბეჭდილი. **თავ. ი. ჭავჭავაძე** კვლავ თხოულობს, რომ კრედიტის საქმის მცოდნე პირებისაგან იქმნას არჩეული კომისია, რომელმაც ყოველ მხრივ უნდა შეიმუშაოს საკითხი გამგეობის-მიერ დამფასებელ კომისიის კონტროლის გაწევის შესახებ. ამ კომისიამვე უნდა გამოიკვლიოს, რამდენად სასარგებლოა ასეთი კონტროლი ბანკის საქმეებისთვის. თავისი მოხსენება ამ კომისიამ, თუ მომავალ საარჩევნო კრებას არა, სამის თვის შემდეგ საგანგებოდ მოწვეულ კრებას წარუდგინოსო.

მ. ვ. მაჩაბელი და სხვები შენიშნავენ, რომ ამგვარ უბრალო საკითხს, როგორც გამგეობის-მიერ კონტროლის გაწევაა, არავითარი კომისია არ უნდა. საგანი ისედაც მარტივია და კონტროლის საჭიროებაც ცხადია, რასაც მოწმობს ბანკის დღევანდელი საქმეებიო. **ა. ი. მიტკევიჩი** ეთანხმება ბ-ნს მაჩაბელს და წინადადებას აძლევს კრებას, მიიღოს შემდეგი რეზოლუცია: გაუქმებულ იქმნას 1897 წლის 28 მაისის ბანკის რწმუნებულთა კრების დადგენილება და, თანახმად წესდების მე-41, 42, 60, 61, 68 და 71 მუხლისა, ცნობილ იქმნას, რომ გამგეობას არამც თუ აქვს უფლება კონტროლი გაუწიოს დამფასებელ კომისიის მოქმედებას, არამედ ვალდებულიც არის ფაქტიურად შეამოწმოს კომისიის დაფასებანი, ხოლო რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენად შეესაბამება ბანკის ინტერესებს ამგვარი კონტროლი, ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალოს რწმუნებულთა მომავალ კრებას, ამ საკითხის შესახებ თავისი მოხსენება წარმოუდგინოს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, თავმჯდომარემ დააყენა შემდეგი საკითხი: რამდენად შეესაბამება ბანკის ინტერესებს ბანკის გამგეობის-მიერ ფაქტიურ კონტროლის გაწევა, და არჩეულ აქმნას თუ არა საგანგებო კომისია ამ საკითხის გადასაწყვეტად. უყარეს კენჭი და, 45 ხმის უმეტესობით, 30 ხმის წინააღმდეგ, უარ-ჰყვეს. შემდეგ უყარეს კენჭი ბ-ნ მიტკევიჩის რეზოლუციის პირველ ნაწილს, მეორე ნაწილი კი კრებამ უარ-ჰყო. ეს რეზოლუცია კრებამ მიიღო 53 ხმის უმეტესობით, 16 ხმის წინააღმდეგ. კენჭის ყრაზე მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს გამგეობის ყველა წევრმა და ზედამხედველ კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა

კენჭის ყრის შემდეგ კრება გუშინ, დილის 10 საათისთვის გადაიდო.

(18 ივნისი)

კრების დაწყებისას, თავმჯდომარე შეეკითხა რწმუნებულთ: ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ, იმის გარდა რაც ითქვა, სხვას ხომ არა აქვს-რა სათქმელიო. კომისიის თავმჯდომარეს—**თავ. ვეზირიშვილს** სურს ილაპარაკოს თავის მოხსენების შესახებ, მაგრამ თავმჯდომარე ნებას არ აძლევს. **თ. ი. გ. ჭავჭავაძე.** ხალხში მოჰფინეს ისეთი მოხსენება, რომელიც თხოულობს ან იქ აღნიშნულ ფაქტების დამტკიცებას, ან არადა სრულებით უარის ყოფას. თავადი **ვეზირიშვილი** ამტკიცებს, რომ, რაც მოხსენებაში ნაჩვენებია, ყველაფერი მართალია და კრებას ყურადღებს აქცევს იმ გარემოებას, რომ ბანკს ზოგმა ხუთი სახლი მიუტოვა, ზოგმა ოთხი და ზოგმა სამი, რაც იმას ამტკიცებსო, რომ სახლებს ბანკის მოსატყუებლად აშენებდნენო. **თივ. აბხაზი** (მოჰრ. შუაკ.) მე მისაყვედურებენ, რომ ვითომ დიდი ბრალი დამედოს გამგეობის მესამე წევრისათვის, რომელიც დღეს ყუთს არ იდგამს. ამნაირი დასკნა გამოვიყვანე საზოგადო კრების კამათიდან. თუ მართლა ეს დიდი ბრალდებაა, დეე, ა მესამე წევრმა მიჰმართოს საერთო კრებას, იგი გასცემს მას პასუხს, და დაანახვებს, იგიც ჩემი აზრისაა თუ არა. ხოლო თუ ეს გზა არ მოსწონს შეურაცხყოფილს, ყუთი დაიდგას ნდობის გამოსაცხადებლად და მაშინ ყველაფერი გამოჩნდებაო. **ა. ნ. ფურცელაძე.** ბატონებო, აქ შეურაცხჰყოფენ იმ კაცს, რომელიც თქვენივე არჩეულია და ამდენი წელიწადი გემსახურათ და რომელმაც თავისი ქონება და მომავალი თქვენ შესწირათ. მე ყუთს არ დავიდგამ ამის გასაგებად, მენდობა თუ არა საზოგადოება, მაგრამ თუ კიდევ ვინმე გაბედა ასეთი ჩემი შეურაცხყოფა, ვითხოვ კომისია იქმნეს არჩეული ჩემის მოქმედების დასაფასებლად და თუ მტყუანი გამოვედი გაძლევთ პატიოსან სიტყვას, სამსახურს თავს დავანებებო. ამაზე თავ. **ჯორჯაძემ** სთქვა—საზოგადოების ყველა წევრს ნება აქვს თავისს ამორჩეულს ანგარიში მოსთხოვოს. იმის გაგება, თუ რამდენად ენდობა საზოგადოება თავისს ამორჩეულს, შეურაცხყოფა არ არისო. ამის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: დღეს თავ. ნაკაშიძის სულის მოსახსენებლად პანაშვიდია დანიშნული. ჩემ თავს მოვალედ ვსთვლი დავესწრო ამ პანაშვიდს და გთხოვთ ნახევარ საათით გამანთავისუფლოთო. კრება დასთანხმდა.

კრების განახლებისას თ. ი. გ. ჭავჭავაძე სარევიზიო კომისიის მოხსენებას შეეხო და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ კომისიამ ამ საქმეს 800 მანათი მოანდომა, მაშინ, როდესაც, არსებითად, სახლების დათვალიერებაზე 5 თუმანი დახარჯაო. ამ შენიშვნამ დიდი კამათი გამოიწვია. ბოლოს კრებამ დაადგინა, კომისიას ანგარიში მოსთხოვოს. ამის შემდეგ კრებას ზედამხედველ კომიტეტის შესახებ ჰქონდა თათბირი და გადასწყვიტა, მისი რეორგანიზაცია მოახდინოს, რისთვისაც ცალკე კომისია აირჩია.

შენიშვნა: გუშინდელს ნომერში შეცდომით გვქონდა მოხსენებული: თავმჯდომარის განცხადებაზე: „თუ თქვენ მწამებთ, რომ მე ვისმე ვუდგები, თავმჯდომარეობას ახლავე თავს ვანებებო“. ამაზე ბ-ნ სარაჯიშვილმა და რწმუნებულთ უპასუხებს: „ძალიან ეჭვი გვაქვს, რომ არავის არ ემხრობოდეთ“... ეს უკანასკნელი სიტყვები ერთმა რწმუნებულმა წამოიძახა, დანარჩენებმა კი ერთხმად შესძახეს: „მაგისი ეჭვი არავის არა გვაქვსო“.

რუსეთი

13 ივნისს ვარშავაში საზოგადო გაფიცვა მოხდა. რამდენსამე ქუჩაზე დემონსტრანტებმა ჯარს სროლა დაუწყეს. ზოგ ადგილას ტრამვაის ვაგონები გადააბრუნეს. ორ განაპირა ქუჩაზე დემონსტრანტებმა **ააგეს ხუთი ბარიკადი**, რომელიც შემდეგ ჯარმა ისევ დაანგრია. მთელი ქალაქი ჯარით იყო სავსე. მუშები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჯარის დანახვაზე იშლებოდნენ. წინა დღეს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის პარტიამ პროკლამაცია გამოუშვა და მუშებს ურჩევდა, ლოძში დიდი გაფიცვაა და მხარი უნდა დავუჭიროთო. ერთ ალაგას უცნობმა ჟანდარმებს ყუმბარა ესროლა. ყუმბარა საჭირო ადგილას ვერ დაეცა და მხოლოდ რამდენიმე კაცი დასჭრა (რ. ს.).

◆ ტულაში მოძრაობამ რაღაც არა-ჩვეულებრივი ფორმა მიიღო: გაფიცვის მოწინააღმდეგე ვაჭრებს **სახლებს უწვავენ**. ისე ღამე არ გავა რომ ოთხი და ხუთი სახლი არ დაიწვას (რ. ს.).

◆ კიშინიოვში, მინსკში, ხარკოვში, სამარაში, ცარიცინში, სარატოვში, სამარაში, ყაზანში, პერმში, ლოძში, კალიშში, რეველში, რიგაში და ბევრგან სხვაგანაც **საერთო გაფიცვა დაიწყო** (რ.).

◆ ხარკოვისა და პოლტავის გუბერნიებში **გლეხთა მოძრაობა გაძლიერდა**. გლეხები ათასობით დადიან სოფელ-სოფელ და მემამულეებს ხორბალს ართმევენ, ბალახს უთიბავენ, მუშას არ აძლევენ და სხ. ასეთივე მოძრაობა დაიწყო კიევისა, ხერსონისა და ჩერნიგოვის გუბერნიებში, მხოლოდ ჯერ ისე არ გაძლიერებულა, როგორც ზემოხსენებულ გუბერნიებში (რ. ს.).

◆ პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ეს მესამედ **დაურიგა პეტერბურგის მეეზოვეებს მენდლები** ანნასი და სტანისლავას ლენტებით. მენდლების დარიგების დროს გრადონაჩალნიკმა სიტყვებით მიჰმართა მეეზოვეებს, მადლობა გადაუხადა „ერთგულ სამსახურისთვის“ და უსურვა, რომ შემდეგშიაც ასე ერთგულად ემსახურონ. პირველად დაარიგა 300 მენდალი, მეორედ—200 და მესამედაც—200 (რ. ს.).

◆ იალუს კონცესიების გმირის **ბეზობრაზოვის შესახებ** პეტერბურგის გაზეთები შემდეგს გადმოგვცემენ: დაიწყო თუ არა ომი, ბეზობრაზოვი შვეიცარიაში წავიდა. მერე ისევ პეტერბურგში დაბრუნდა ანგარიშის შესადგენად იალუზე დაწყებულ საქმის შესახებ. მერე ისევ საზღვარ-გარედ წავიდა, იქიდან ისევ რუსეთში დაბრუნდა და თავის მამულში, ტამბოვის გუბერნიაში, დასახლდა. იმის მამულის მახლობლად ხშირად იმართება ხოლმე იარმუკა, სადაც აუარებელი გლეხი და ვაჭარი იყრის თავსა. ხალხი ცერად უყურებს ბეზობრაზოვსა და მოკვლას ემუქრება, რადგან ომი მაგის ბრალიაო. პოლიცია იცავს ბეზობრაზოვის მამულსა და სახლკარსა (რ. ს.)

◆ „წითელ ჯვრის“ „მოღვაწეობამ“ მთელს რუსეთში გაითქვა სახელი. საზოგადოება თხოულობს, რადგან „წითელი ჯვარი“ ჩვენს ხარჯზეა, ამიტომ ნება უნდა გვქონდეს კონტროლი გავუწიოთო. ამ მოკლე ხანში საზოგადოება სურვილს შეისრულებს. სხვადასხვა წოდებისაგან შესდგება ცალკე კომიტეტი, რომელიც „წითელ ჯვრის“ მოღვაწეობას თვალყურს ადევნებს, (რ. ს.)

◆ კრონშტადტში **არა ჩვეულებრივი ამბავი** ხდება. ამ ქალაქში გაჩნდა ვიღაც ახალგაზდა ქალი, რომელიც თავის თავს ღვთის-მშობელს ეძახის. „ღვთის-მშობელს“ ახალგაზდა ქალებისგან აუარებელი ამალა ჰყავს. ამ ქალებს ანგელოზები ჰქვიან. „ღვთის-მშობელი“ და „ანგელოზები“, განმარტოებით, ერთ სახლში ცხოვრობენ, ყოველი მათი მოქმედება დიდის საიდუმლოებით არის მოცული და, ზოგიერთ მამაკაცის გარდა, სახლში არავის უშვებენ. საკვირველი ის არის, რომ ეს ახალი საკრებულო უმაღლეს სამღვდელოებისა და იოანე კრონშტატელის მფარველობის ქვეშ იმყოფება. გაზეთებმა არა ერთხელ გამოამჟღავნეს ამ „ანგელოზებისა“ და „ღვთის-მშობლის“ ჭუჭყიანი საქციელი, მაგრამ ვერას გახდნენ: ანგელოზებსა და ღვთისმშობელს აუარებელი მოტრფიალე ჰყავს. ღვთისმშობელს თავის აგენტებიცა ჰყავს: ზოგს მოციქული პეტრე ჰქვიან, ზოგს მიქელ-გაბრიელი, ზოგს მთავარ-ანგელოზი, ელისაბედი და სხ; „მთავარანგელოზები“, „მოციქულები“ და „მიქელგაბრიელები“ მთელს რუსეთში დაიარებიან და ღვთისმშობლისთვის ანგელოზებს ეძებენ. იოანე კრონშტადტელი ეხლაც მფარველობს ღვთისმშობელსა და ანგელოზებს (რ. ს.).

◆ **პრესსის თავისუფლება.** ვილნოში მცხოვრებ ებრაელებმა ახალ გაზეთის გამოცემის ნებართვა ითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს (ნ. დ.).

ცნობილმა დრამატურგმა თავ. ბარიათინსკიმ და პუბლიცისტმა კ. არაბაჟინმა ერთად გაზეთის გამოცემის ნებართვა ითხოვეს, მაგრამ იმათაც უარი მიიღეს (რ. ს.).

◆ გერმანელ სოციალდემოკრატთა გაზეთმა „ფორვარტს“-მა **დაბეჭდა ერთი საიდუმლო დოკუმენტი**, საიდანაცა სჩანს, რომ 3 ივნისს ვარშავაში მოელოდნენ გერმანიის ჯარის ერთ კორპუსს. გერმანელებს პოლონელები ვარშავიდან უნდა გაეძევებინათ (მშვიდობიანად) და ქალაქი დაეჭირათ. საკვირველი ის არის, რომ საფრანგეთშიაც სწორედ ამ დღეს მოელოდნენ გერმანიისაგან რაღაც არაჩვეულებრივ საქციელს (რ. ს.).

კორესპონდენცია

ზუგდიდი, 12 ივნისი. დღეს ბიუროკრატია ყველას სულს უხუთავს, მაგრამ ზუგდიდის ბიუროკრატიის თავგასულობამ ყოველგვარს გადააჭარბა. საითაც მიიხედავ ან ერთი მოხელე შეგხვდება, ან მეორე და ეჭვის თვალით გათვალიერებს.

ბიუროკრატია, ხელმძღვანელად, თავისებურად აფასებს გლეხებს და უნიშნავს შვიდის თავებს თავისის უფროსებით რომელთაც, მინდობილი აქვთ ხალხის პატრონობა: სოფელში მომხდარ ყოველგვარ უთანხმოებების განხილვა და მოსმობა, ქურდებისა და ავაზაკების დევნა, ვალების გადახდევინება, გადასახადთა განაწილება, მამასახლისისა და სხვა მოხელეთა ხელის შეწყობა, გადამწვარ კანცელარიების ნაცვლად ახალთა ასაგებად ზრუნვა, განსაკუთრებით დაბეზღება და დაჭერა მთავრობისა და თავად-აზნაურ-სამღვდელოების წინააღმდეგ მოლაპარაკე აგიტატორთა.

არ ვიცი, რამდენად ასრულებენ თავის ახალ თანამდებობას ზემოხსენებული გლეხები, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ სამეგრელოში ქურდობა-ავაზაკობამ არამც თუ იკლო, პირ-იქით, ძალიან იმატა.

კაზაკ-რუსების ჩამობარგება ძალიან უხარიათ ადგილობრივ თავად-აზნაურთ და აფიცრებს ხშირად ჰპატიჟობენ, ხოლო მათი ქალები აღტაცებით თავს დასტრფიან. საზოგადოდ, მეგრელი ქალები ძალიან ჩამოშორდნენ თანამედროვე მოძრაობას. ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ სამეგრელოს სოფლებში ინტელიგენტები ცოტაა და ბნელი ძალები ადვილად იმარჯვებენ საითაც მეტი ფიზიკური ძალაა, ხალხიც მისკენაა.

X.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გამოაცხადებინოთ, რომ მე ვურთდები მაჩაბლების გარდაწყვეტილებას, რომელიც გლეხების დაკმაყოფილებას შეეხება და „ცნ. ფურც.“ № 2841-შია აღნიშნული, და ვუკმაყოფილებ გლეხობას იქ ჩამოთვლილ ხუთსავე მოთხოვნილებას. ამასთანავე ვაცხადებ, რომ მე ის ალექსანდრე ფავლენიშვილი არა ვარ, რომელიც „შავი რაზმის“ წევრია. ბევრმა ამაზე მისაყვედურა და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ამის გამოცხადება. სოფ. ერედვი.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილი.

II

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ გამოვაცხადო ჩემი სრული თანხმობა იმაზე, რაც „ივერიის“ № 96-ში არის ჩემ მეგვარე თავად მაჩაბლებისაგან გამოცხადებული: გლეხებისათვის დათმობა ნადელების, საწყლის-შირობისა, საძოვრის, სახლის საჭიროებისათვის მუქთად ტყის მასალისა და საკუთარ მამულის სამეთვლედოდ ხვნა-თესვისა. ამაზე სრულს თანხმობას ვაცხადებ და ამასთანავე დავსძენ მეორე პირობასაც, უკეთუ გლეხნი თავისთვის სასარგებლოდ დაინახავენ: დღიურ მიწის მოხვნა, ესე იგი, ალო არის დაფასებული სამ მანათად; თესლი უნდა ოც გირვანქას ნახნავთ ორი კოდი; მომკა მოსულისა ღირს სამი მანათი; მიტანასა და გალეწვას ჰფარავს ბზე. ყველა ეს ხარჯი შეადგენს 4—$4\frac{1}{2}$ კოდს. ეს ხარჯი მიიღოს მშრომელმა და დანარჩენი მოგება მანვე და მემამულემ შუა გაიყონ. ამ ჩემს წინადადებაზედ ზოგიერთი გლეხი დამეთანხმა, ხოლო ვინც არ ისურვებს,—მათთვის წინ რადა უდგია. ამგვარ პირობებზედაც სრულს ჩემს თანხმობას ვაცხადებ.

თავ. ზაალ მაჩაბელი.

III

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოგვაცხადებინოთ, რომ ჩვენ, სოფელს ქურთაში მცხოვრები თავადები, გლეხებთან დაღის მეათედზე შევთანხმდით.

გიორგი ზაალის ძე მაჩაბელი, დიმიტრი იოსების ძე მაჩაბელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

18 ივნისი.

გუნჯულინი, 17 ივნისი. იაპონელთა რაზმეებს, როგორც სჩანს, ერდაგოუ-მენხუაგაი-ციონპინგარ-სიასზიატაი-ფისილაიას მიდამოები უჭირავთ. 14 ივნისს იაპონიის მზვერავი რაზმი ქვეითა და ცხენოსანთა ჯარისა ცდილობდა ჩვენი მდებარეობა შეეტყო, მაგრამ ვერ მოახერხა. იაპონელებს ცინხეს გაღმა დავახევინეთ.

ვაშინგტონი, 17 ივნისი. ცნობები გვაქვს, რომ ომის დროებით შეჩერებაზე მოლაპარაკება არ შეწყვეტილა ამბობენ, რომ აქტი ამის შესახებ ხელმოწერილი იქნება ოიამასა და ლინევიჩის მიერაო.

ამსტერდამი, 18 ივნისი. გაზეთები იუწყებიან, რომ რუსეთის კრეისერი „ტერეკი“ იარაღს აიყრის, რადგან დანიშნულ ვადაზე ქვა ნახშირით ვერ იტვირთებაო.

კანეა, 18 ივნისი. საღამოთი მოვიდა გემი „ხრაბრი“. ქალაქის უმთავრესი ადგილები უცხოელთა ჯარებს უჭირავთ. ინგლისისა და რუსეთის რაზმებმა სოფელ პატანლას დასაპყრობად გაილაშქრეს.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ-აღმოსავლეთიდან 17 ივნისს არ მოსულა.

ხარბინი. „დელი ტელეგრაფის“ ცნობა, ვითომც ხარბინში თავზარდაცემულნი არიან, რადგან იაპონელები მოახლოვებულანო, მტკნარი სიცრუეა. ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობს ისე როგორც მშვიდობიანობის დროს. სანიტარული მდგომარეობა ჩინებულია. მოარული არა არის-რა. აღმოსავლეთის ფრონტზე შეუნიშნავთ, რომ იაპონელების რაზმები მრავლად მოისწრაფვიან. მალე დიდს ბრძოლას მოელიან.

პორტ-საიდი. რუსის კრეისერი „დნეპრი“ ამჟამად არხშია. კრეისერის კომანდირი აქ გადმოსხავს „სენი-კილდის“ მეზღვაურებს, გარდა კაპიტნისა და ორი მეზღვაურისა, რომლებსაც ლიბავას მიიყვანს. აქ ორი ინგლისის კრეისერია.

პარიზი. „დნეპრი“ დღეს სუეცის არხში შესულა.

ვაშინგტონი ნამდვილ წყაროებიდან იუწყებიან, ამჟამად ლინევიჩსა და ოიამას მოლაპარაკება აქვთ დროებით მშვიდობიანობის შესახებ, რწმუნებულთა ვინაობა შემდეგ გამოცხადდება. თუ რომ მოლაპარაკება გაგრძელდა, რწმუნებულთა ვინაობა ადრე გამოცხადდება.

მოჯი. იაპონიიდან 7 ივნისს გამოსული აფიცერი იუწყება, ლინევიჩს ახალი ჯარი ემატება, მაგრამ საფიქრებელიც არ არის, რომ თითონ გაილაშქროს. დარი ხელს უწყობს ჯარის გადაყვან-გადმოყვანას. ლინევიჩის უმთავრესი სადგომი რკინის გზის ლიანდაგზეა, ჩანტაფუს ახლო. მიშჩენკოს კაზაკები დიდ მხნეობას იჩენენ. მეორე აფიცერს უთქვამს, როდესაც ფრონტს დავშორდი, ორი მოპირდაპირე ლაშქრები ზოგს ადგილს 4,000 მეტრით არიან დაშორებულნი, ზოგან კი 2,000 მეტრიც არ არის. იაპონელები რუსების მოძრაობას თვალყურს ადევნებენ და სარგებლობენ. თუმცა რუსების ლაშქრის უმთავრესი ნაწილი იაპონელებზე დამორებულია, მაგრამ იაპონელები ბლომად თავს იყრიან რუსების სიმაგრეების პირდაპირ.

ტოკიო. პორტ-არტურიდან 2,000 ყუმბარა ყოფილა დარჩენილი.

მოსკოვი 18 ივნისი. ქალაქის წარმომადგენელთა უკანასკნელ კრებაზე 18 მონაწილე კრებისა მომხრე პეტრუნკევიჩის აზრის მოქალაქეთა ფართო საარჩევნო უფლებების შესახებ. მიღებულ იქმნა საერთო საერობო ბიუროს წინადადება—იმის შესახებ, რომ ივლისის პირველ რიცხვებში საერთოდ განხილულ იქმნეს ბულიგინის პროექტი. ქალაქის წარმომადგენლთა ამრჩევ ბიუროს მუდმივ წევრებად არჩეულ იქმნენ: გოლიცინი, პოგორელოვი, მემორსკი, ალეხინი, მიკვინი, გუჩკოვი, კრასოვსკი, ფედოროვი, პეტრუნკევიჩი, პრჟევალსკი, სტოლპოვსკი, მანუილოვი, დუბაცკი, ასტროვსკი, ნემიროვსკი. ოდესის ქალაქის მთავარი კრასნოვსკი სასურველად სცნობს, რომ კრების მიერ მიღებული რეზოლუციები ხალხში საყოველთაოდ გავრცელებულ იქმნას. კრება ღამის 12 საათზე დაიხურა. მშვიდობიანობაა.

დღეს მოვიდა მინისტრი თავ. ხილკოვი.

რეველი, 18 ივნისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ გიპსალში უწესოებანი მოისპო, ცამეტი მუშის გარდა, რომლებსაც ანგარიში გაუსწორეს, ყველა მუშაობას დაადგა.

ვარშავა, 18 ივნისი. გუშინ საღამოთი საქსონიის ბაღში მანიფესტაციის გამართვა უნდოდათ.

სერაძი, 18 ივნისი. ზდუნსკ ვოლაში მშვიდობიანობაა. ფაბრიკები არა მუშაობენ.

პარიზი, 18 ივნისი. მინისტრთა საბჭოს რუვიემ აუწყა, რომ მაროკოს შესახებ მოლაპარაკება ხელშემწყობ პირობებში ხდებაო.

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. პოკატილოვი მოვიდა.

პარიზი, 17 ივნისი. ხვალ რადოლინი და რუვიე ერთმანეთს ინახულებენ. საფრანგეთსა და გერმანიის შორის მომხდარი ინციდენტი ერთ კვირაზე მოწესრიგდებაო.

რომი, 17 ივნისი. სენატმა სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად ახალი ხარჯები შეიწყნარა.

ვაშინგტონი, 17 ივნისი. სტატს სეკრეტარი ჰეი გარდაიცვალა.

ისტერზუნდი. დრონტხეიმიდან იუწყებიან, ნორვეგიის ჯარი სამის გვარის შეიარაღებული სდგას. 13 ივნისს ღამე 2,000 ქვეითი ჯარი საზღვრისკენ გაიგზავნა. იქიდანვე გაუგზავნიათ სამხრეთისკენ 65 ვაგონი და 2 ლოკომოტივი. დრონტხეიმის ნავთსადგურში გაჩერდა ერთი სამხედრო გემი და ნაღმოსნები.

კანეა. საღამოს სამხედრო გემი „ხრაბრი“ მოვიდა. ქალაქის უმთავრესი უბნები უცხოელ ჯარებს უჭირავთ. ინგლისისა და რუსეთის რაზმები სოფელ პლატანიასკენ წავიდნენ.

პეტერბურგი. ომის დროის წესწყობილება გამოცხადდა ერევნის გუბერნიაში, სევასტოპოლის მიდამოებსა და ნიკოლაევის საგრადონაჩალნიკოში.

„მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილია, რომ ის ხმები, ვითომც პენსიების გადასახადი უნდა გაადიდონ, უსაფუძვლოა.—13 აპრილს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრით, ცოტად მოემატება გადასახადი საპენსიო თანხის გასაძლიერებლად იმ მოხელეების პენსიას, რომელნიც ჯერ კიდევ სამსახურში არიან და არა სამსახურიდან გადამდგართა და მათ ცოლშვილის პენსიას.

ბუდაპეშტი კვირას ფეიერვართან ბჭობა ჰქონდათ ოპოზიციის ყველა მეთაურებს თავის პარტიის შესაერთებლად. კონფერენციის ბედზე იქნება დამოკიდებული შემდეგი მოქმედება ფეიერვარისა.

კილი. გერმანიის ფლოტი აღდგომის დროს კოპენჰაგენსა და სტოკჰოლმს შეივლის.

ათინი. კანეადგან დეპეშით იუწყებიან, აჯანყებულებსა და უცხოელ ჯარებს შეტაკება მოუხდათ, დაწვრილებით ცნობები ჯერ არ მოსულა.

კანეა რუსის ჯარსა და აჯანყებულებს შეტაკება ჰქონდათ. რუსის სამხედრო გემმა „ხრაბრიმ“ კოლიმბარს ყუმბარები დაუშინა. იტალიელებმა არტილერია გადმოიყვანეს. სამიში მდგომარეობაა

ტოკიო. ჩინეთის მთავრობას გადაუწყვეტია კადეტები გაგზავნოს იაპონიას სამხედრო საქმის შესასწავლად.

---

*) ეს წერილი უცვლელადაა გადმოწერილი დედნიდან. მართლ-წერა „კომიტეტისაა“.

ი. ეკალაძე.

*) ეს ბოლო სიტყვები დედანში წითელის კარანდაშითა სწერია.

ი. ე.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 18 іюня 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.